პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-5 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 49 შაბათი, 3 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 49

დღიური

ახლო-აღმოსავლეთში: საფრანგეთი დათმობაზე მიდის, საზავო ხელშეკრულების განხილვა ეროვნულ ყრილობის სხდომაზე, ეკონომიური კონგრესი თხოულობს რვა საათის სამუშაო შემოღებას, ინგლისის ფლოტი გავიდა სმირნის ნავთსადგურიდან, ბერძნების ევაკუაცია.

რურის ოკუპაცია: ფერად ჯარებმა დაიკავეს ერენშტეინის სადგური, რეპრესიები პოლიციის წინააღმდეგ, კანტროლის გაფართოება, ახალი დებულება რკინისგზელების შესახებ.

14 მარტისთვის მოწვეულია საქართველოს კომპარტიის

მე-2-ე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ცეკას ანგარიში.
2. ცენტრ. საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას ანგარიში.
4. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ბიუროს ფრაქციის მოხსენება პროფკავშირებში მუშაობის შესახებ.
5. ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.
6. მიწის რეფორმის შედეგები.
7. სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანები საქართველოში.
8. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: საქართველოს კომპარტიის 100 ნამდვილ წევრისაგან—1 დელეგატი.

წითელი არმია გზავნის დელეგატებს სამხედრო პარტიულ კონფერენციიდან საერთო წესით.

პარტიული ყრილობის გახსნის ადგილის შესახებ გამოცხადებული იქნება დამატებით.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

ა. წ. 18 მარტს თბილისში მოწვეული იქნება კომუნისტური ორგანიზაციების

ამიერ-კავკასიის მე-2-ე ყრილობა

პარტიულ ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის (პოლიტიკური და საორგანიზაციო) ანგარიში.
2. საკონტროლო კომისიის ანგარიში.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენება.
5. ფინანსიურ რეფორმის შედეგები და საგადასახადო პოლიტიკა.
6. ეროვნული მომენტი საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში.
7. საორგანიზაციო საკითხები.
8. სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები.
9. არჩევნები.
10. მიმდინარე საქმეები.

წარმომადგენლობის ნორმა—პარტიის ყოველ 100 წევრზე 1 დელეგატი.

რუს. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო
კომიტეტის მდივანი—**ა. მიასნიკოვი.**

ცირკულიარულად.

კომპარტიის 25 წლის თავისათვის.

საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს:

ძვირფასო ამხანაგებო!

ა. წ. 14 მარტს სრულდება **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)** არსებობის 25 წელი.

ჩვენმა პარტიამ გაიარა ბრძოლის, დამარცხებათა და გამარჯვებათა ძნელი გზა. გიგანტური ბრძოლის 25 წლის განმავლობაში პარტიამ დაამხო ცარიზმი, ხოლო ოქტომბერში—ბურჟუაზია.

ამჟამად, როდესაც პარტია სდგას ხელისუფლების სათავეში და წინ უძღვის მშრომელთა მილიონებს და აშენებს ახალ ცხოვრებას, საჭიროა ღირსეულად აღვნიშნოთ და ვიდღესასწაულოთ მისი 25 წლის **იუბილე.**

საჭიროა ფართოთ განუმარტოთ პარტიის ახალგაზრდა წევრებს და ყველა მშრომელებს ჩვენი პარტიის მუშაობის ის მომენტები და პერიოდები, როდესაც იგი ჯერ კიდევ ჩასახვის სტადიაში იმყოფებოდა და იწყებდა მუშათა კლასის დაქსაქსულ ძალების დარაზმვას.

იუბილეს სათანადოთ და ზეიმით გატარებლად **საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის** საგიტ-პროპაგანდო განყოფილება წინადადებას იძლევა გატარებულ იქნას ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

მახლობელ პარტიულ დღეს იაჩეიკების სხდომებზე გაშუქებულ იქნას საკითხი მუშათა და გლეხთა ფართო წრეების თანადასწრებით.

წინადადება მიეცეს პოლიტიკურ წრეების ხელმძღვანელებს ამ დროისთვის გაძლიერებული მეცადინეობა [illegible] წრის წევრებთან ჩვენი პარტიის ისტორიაში, უმთავრესად იმ პერიოდის ისტორიაში, რომელიც ეხება მის ჩასახვას და ორგანიზაციას.

ამ დღისათვის მოეწყოს ახალი პოლიტ-წრეები უპარტიო მასების ჩაბმით.

13 მარტს მუშათა და გლეხთა ყველა კრებებზე გაიმართოს მოგონებათა საღამოები, რომელზედაც განხილული იქნება რევოლიუციონური ბრძოლის ისტორია და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის შედეგები, აქ გაშუქებული უნდა იქნეს ორგანიზაციების ცხოვრების თვალსაჩინო მომენტები რევოლიუციის საქმისათვის დაღუპულ ყველაზე უფრო მომქმედ ამხანაგების როლი.

დაინიშნოს განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების და „სპარტაკის" დათვალიერება. 13 მარტს, საღამოზე დაინიშნოს პარტიულ კომიტეტების პარტიის წევრთა თანადასწრებით, პროფორგანიზაციების. ახალგაზრდობის კომკავშირის და წითელ-არმიის ნაწილების საზეიმო სხდომები.

საზეიმო სხდომა მიეძღვნას იუბილეს, რის შემდეგ გაიმართოს უფასო წარმოდგენები.

ყველა პარტიულ-საბჭოთა გაზეთებმა ადგილი დაუთმონ დღესასწაულს; წინასწარ შეუკვეთონ რა წერილები და მოგონებანი, პარტიის ძველ წევრებს—რევოლიუციონურ ქარიშხალის და ბრძოლების მონაწილეებს.

მუშათა და ახალგაზრდათა კომკავშირის კლუბებში დაიდგას ინსცენიროვკა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორიიდან და აგრეთვე გაიმართოს მოგონებათა საღამოები.

ბიბლიოთეკებმა უნდა გამართონ იმ ლიტერატურის გამოფენა, რომელიც ეხება თვითმპყრობელობის და მენშევიკების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის ისტორიას.

დამატებითი მასალები და თეზისები ცალკე გამოგეგზავნებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

ც. კ. საგიტ-საპროპაგანდო განყოფ. გამგის მოადგილე **ა. კვირიკაძე**

ჩვენი პარტიის მომავალი ყრილობა

14 მარტისათვის დანიშნულია საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა.

ყრილობა ჯამს გაუკეთებს ერთი წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას როგორც შინა—პარტიულ ცხოვრებაში, ისე საბჭოთა სახელმწიფოებრივ მშენებლობის და საგარეო პოლიტიკის სფეროში, რომელსაც ჩვენი პარტია, როგორც მმართველი პარტია, ხელმძღვანელობს.

შინა-პარტიული მუშაობა ამ პერიოდში ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო. პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ პარტიის რიგების [illegible] გენერალურ გაწმენდას. პირველ გაწმენდის შემდეგაც დარჩნენ [illegible] ოჯახში მისთვის უცხო ელემენტები, რომელთაც შეჰქონდათ რყევა მასში, ან ზედმეტ ბარგად აწვნენ მის სხეულს.

როგორც სახელმწიფოებრივ პარტიას, კომუნისტურ პარტიას მიეტმასნენ ისეთი ელემენტები, რომელთაც თავიანთი სოციალური მდგომარეობით თუ პსიქოლოგიით ან სულ არაფერი, ან ბევრი რამ არ ჰქონდათ საერთო პროლეტარიატთან. პარტიის წევრობას ისინი იყინებდნენ პირადი მიზნებისათვის. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელმაც ერთგვარი გასაქანი მისცა წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიას, ჩვენს პარტიის მერყევ ნაწილებშიც ჰპოვა უარყოფითი გამოძახილი. ახალი ეკონომიური პოლიტიკა საუკეთესო ეგზამენი გამოდგა პარტიის ყველა წევრთათვის.

პარტიას არ შეეძლო თავის რიგებში დაეტოვებინა წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები და ყველა ის პირი, რომელთა გამოუსადეგრობა, არაგულწრფელობა და ეგოისტური მოდრეკილობანი სინამდვილემ გამოააშკარავა.

გაწმენდამ გააჯანსაღა პარტიის ორგანიზმი, უფრო ერთფეროვანი გახადა იგი სოციალურად და იდეურპსიქოლოგიურად. პარტიიდან გაძევებულ იქნა დაახლოებით 30—40 პროცენტი, მასში დარჩნენ პროლეტარული და მასთან ყოველ მხრივ ახლო მდგომი ელემენტები.

პარტია საგრძნობლად შემცირდა რიცხვობრივად, მაგრამ მან დიდათ მოიგო ღირსების მხრივ.

გარდა ამ უდიდესი ოპერაციისა, პარტია ერთი წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო ორგანიზაციულ და პოლიტიკურ კულტურულ მუშაობას, რომელმაც საკმაო შედეგები მოიტანა როგორც პარტიის წევრთა უფრო შეკავშირების, ისე მათი კლასობრივი გათვითცნობიერების და კულტურული დონის ამაღლების მხრივ, აგრედვე უპარტიო მასსასთან მისი მჭიდროდ დაახლოების საქმეში.

აგრეთვე უდიდესი იყო პარტიის მოღვაწეობა პარტიის გარედ.

ქვეყნის შინაურ პოლიტიკაში პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ის გამალებული მუშაობა, რომელიც წარმოებს აგრარულ რეფორმის გასატარებლად. პარტიამ გადაჭრილი ზომებით გადაჭრა ამ გზაზე აღმართული ობიექტიური თუ ხელოვნური დაბრკოლებანი, რომლის შედეგი იქნება მიწის რეფორმის დასრულება, მთელი მიწა გადაეცემა მის ნამდვილ პატრონს—მშრომელ გლეხობას.

წარსული დროებიდან ჩვენმა ხალხმა მიიღო მემკვიდრეობად არა მარტო ძველი საადგილ-მამულო ურთიერთობანი, არამედ ბევრი სხვა რამეც, რაც დიდად აფერხებს მშრომელთა ყოველმხრივ განთავისუფლებას. ერთი ასეთი მემკვიდრეობაა რელიგიური ცრუმორწმუნეობანი. ჩვენი პარტია ენერგიულ მუშაობას ეწევა ხალხის გამოსაფხიზლებლად იმ შავი ბურუსიდან, რომელშიც ის იყო გახვეული სარწმუნოების და სამღვდელოების მიერ. ამ მიმართულებით მუშაობის შედეგი, როგორც მკითხველებმაც იციან, ფრიად თვალსაჩინოა.

საგარეო დამოკიდებულებათა სფეროში პარტიამ გადადგა საპასუხისმგებლო ნაბიჯები. რევოლიუციის და მშრომელი ხალხის ინტერესების თანახმად, ჩვენი ქვეყანა მჭიდროდ დაუკავშირდა ამიერ-კავკასიის დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებს, შეიქმნა მათი ფედარაცია, რომელიც შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.

ამ გვარად ჩამოყალიბდა საბჭოთა ფედერაციის ყველა მშრომელ ხალხთა ერთიანი ფრონტი როგორც გარეშე მტრების წინააღმდეგ, ისე ჩვენი რესპუბლიკათა მეურნეობის ასაღორძინებლად.

პარტიის საქმიანობა არ განისაზღვრება ზემო ჩამოთვლილით. მისი მტკიცე ხელი ატყვია ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგს და მხარეს. მისმა პოლიტიკამ და მუშაობამ დიდი გაჯანსაღება შეიტანა როგორც შინა პარტიულ ცხოვრებაში, ისე სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესობაში და ქვეყნის მთელი მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში.

მომავალი ყრილობა შეაჯამებს მიღწეულ შედეგებს და შეძენილი გამოცდილების მიხედვით უფრო გააღრმავებს და გააფართოვებს მუშაობას ამ მიმართულებით.

ბრძოლა რეინზე

ახალი პუნქტების დაკავება, შავკანიანი ჯარის მოსვლა, მუშების დევნა, სიკვდილით სასჯელის შემოღება—ასეთია ქრონიკა სამხედრო ოპერაციების, რომელსაც აწარმოებს საფრანგეთის იმპერიალიზმი რეინის მიდამოებში. ეს ცნობები ბევრათ განსხვავდებიან იმ ოპერატიული ტელეგრამებიდან, რომლებსაც იძლეოდა ხოლმე სამხედრო შტაბები დიდი ომის დროს. უკანასკნელ შემთხვევაში საქმე ჰქონდათ კბილებამდე შეიარაღებულ არმიის მასებთან, დღეს კი დამარცხებული და იარაღ აყრილი გერმანიის ტერიტორიაზე საფრანგეთის შტაბი ებრძვის სამოქალაქო ნაწილებს, შრომის იარაღებით აღჭურვილ მუშებს. სწარმოებს ამნაირათ ბრძოლა, უსწორო სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ მაინც სახიფათო და, ძალთა გარკვეულ ურთიერთობის პირობებში, ყოველგვარ მოულოდნელი შესაძლებლობით სავსე მოძალადე ოკუპანტებისათვის ისევე როგორც გერმანიის კაპიტალისთვის. „კულტურული" ჰუნების მეთაური, გენერალი ფოში, სისწორით აფასებდა მდგომარეობას, როდესაც რურზე შეტევის დასაწყისში ამბობდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით ვინ ვის დაიკავებს: ფრანგები—რურის რაიონს, თუ რურის რაიონი—ფრანგებსო. მდგომარეობა, რომელიც შეიქნა რეინზე საფრანგეთის სამხედრო შტაბის ოპერაციების შედეგათ, ადასტურებს დამპყრობელის ეჭვებს. რაიონის და მთელი ქვეყნის მოსახლეობა, განსაკუთრებით მშრომელი ნაწილი მისი ე. ი. ის ნაწილი, რომლის სისხლისა და ოფლის, რომლის მონაგარი ზედმეტი ღირებულებისა დ ქონების ხელში ჩასაგდებათ სწარმოებს დღეს ბრძოლა საფრანგეთისა და გერმანიის კაპიტალის მაგნატებს შორის, მთელი ეს სამოქალაქო მოსახლეობა ამდგარია დღეს ზოგან პასიურ, ალაგ-ალაგ კი აქტიურ წინააღმდეგობის გასაწევათ და მოძალადეების უკუ საქცევათ. გაფიცვები მემაღაროელების, გაფიცვები რკინის გზელების, საბოტაჟი მოსამსახურეების მხრივ, წინააღმდეგობა თვით ზომიერათ მოაზროვნე საზოგადოების ნაწილების და რეპრესიები საოკუპაციო მთავრობის ყველას წინააღმდეგ, თვით სიკვდილით დასჯის შემოღებაც—ასეთია აწეწილი მდგომარეობა ამდენხანს მშვიდობიანი შრომით მცხოვრები მხარის. დავიწყებულია ჩვენი საუკუნის ბარბაროსთა სიტყვები „თავისუფლობაზე" და „ერთა განთავისუფლებაზე", რომლებითაც ისინი ყურებს უჭედდენ დატყუებულ ხალხებს წარსული ომის დროს.. წამოჭრილია ჩვენს წინ შეიარაღებულ ყაჩაღთა ბრბო, ყაჩაღურივე სახელმწიფოს ოფიციალური ლოცვა კურთხევით, მიმდგარი განიარაღებულ ხალხზე მძარცველი მისი, დამცალიერებელი ვინტოვკით ხელში მისი ღარიბი ჯიბეების, ამწიოკებელი ხალხის, გამაპარტახებელი მთელი რაიონის და ქვეყნის. ასეთია მდგომარეობა რეინზე.

ხოლო ასეთი მდგომარეობა გარკვეულ ამოცანებს უყენებს მუშათა ორგანიზაციებს და ფრიად რთულ სამუშაოს კომინტერნის სექციებს როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში.

ტყუილათ არ სდევნის საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება სწორეთ კომპარტიის მოღვაწეებს დაკავებულ რაიონებში და საფრანგეთის მთავრობა თვით საფრანგეთში. ტყუილადვე არ არის წამოყენებული, და ბოლოს, ბრალდება მათ წინააღმდეგ, როგორც მოსკოვის „აგენტების". ყველაზე უფრო რევოლიუციონური ნაწილი წინააღმდეგობისთვის ამდგარი მასების აწარმოებს დღეს გერმანიაში თვით სოციალ-შემთანხმებლების გავლენის ქვეშ მყოფი მუშების თანაგრძნობითაც ბრძოლას როგორც უცხო, ისე ნაციონალური კაპიტალისა და მთავრობის წინააღმდეგ. ერთიანი ფრონტი, რომლისათვის მუშაობა არ შეწყვეტილა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, თანდათან ფაქტი ხდება ამბების განვითარების გარდუვალი მსვლელობით. გაერთიანებული ძალებით ბრძოლის მიზანი, რომელიც წამოყენებული აქვთ ჩვენს ამხანაგებს, არის მუშური მთავრობის წამოყენება, სახელმწიფო ძალა-უფლების გადასვლა მის ხელში და უნდა ითქვას, თუ რამეს შეუძლია საფრანგეთის იმპერიალიზმის დამარცხება რეინზე, ან ყოველ შემთხვევაში მისი შემოტევითი ენერგიის შესუსტება—ეს არის სწორეთ ხელისუფლების საკითხის გადაწყვეტა პროლეტარიატის სასარგებლოთ. ცხადია რატომ.

საფრანგეთის მმართველი წრეები კვლავ მით აშინებენ ისედაც დაშინებულ წვრილ ბურჟუაზიას, რომ გერმანიას სათავეში უდგას იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელიც აწარმოებდა დიდ ომს. სახელმწიფოს გადასვლა მშრომელთა ხელში შეიქნებოდა გადამწყვეტ ფაქტორათ საფრანგეთის შინაური ფრონტის დასამსხვრევათ, ურომლისოთ შეუძლებელია წარმატებით ომის წარმოება გარეთ. ესევე გარემოება შეანძრევდა ღრმათ საფრანგეთის პროლეტარიატს, რომელიც ბუნებრივია, ფაქტიური მოკავშირე და თანამებრძოლი შეიქნებოდა გერმანიის მუშათა კლასის. ასეთია პოზიცია ჩვენი პარტიის გერმანიაში. და რამდენადაც ხორცს შეისხამს მისწრაფება კომპარტიის—იმდენათ იქნება შესაძლებელი გერმანიის ხალხის გადარჩენა გადაშენებისაგან და ევროპის განთავისუფლება იმპერიალისტური მოძალადეებისაგან.

ამხ. ლუკიანე თაბუკაშვილის ხსოვნას

ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართველი მშრომელი განთავისუფლდა მენშევიკების „დემოკრატიული" უღლისაგან. და ამ განთავისუფლების ორი წლის თავი იდღესასწაულა მან 25 თებერვალს.

ბევრი მსხვერპლი შეეწირა საქართველოს გასაბჭოების საქმეს, ბევრი ამხანაგი იტანჯებოდა ციხეებში, ბევრი გადაასახლეს, აწამეს და ბევრი სიცოცხლესაც გამოასალმეს. და ერთი ასეთი ამხანაგთაგანი იყო წითელი გენერალი ამხ. ლუკიანე თაბუკაშვილი, რომელიც რუსეთის სამოქალაქო ომებში გააფთრებულ ბრძოლებს უვნებლად გადაურჩა და აქ კი, 1921 წ. 3 მარტს, ვერაგულად დახვრეტილ იქნა მენშევიკების ჯალათების მიერ ქ. ზესტაფონში.

9 წელიწადი იყო თითქმის, რაც ამხ. ლუკიანეს თვისი ოჯახი არ ენახა, მისმა მშობლებმა არა იცოდა-რა მისი და 1920 წ. დამლევს, რუსეთის სამოქალაქო ბრძოლებში მოქანცულმოღალული ამხანაგი შვებულებაში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთიდან თავის სამშობლოში.

მაგრამ გააფთრებულმა მენშევიკების „ოხრანკამ" ვერ მოითმინა ბოლშევიკის და ისიც წითელი გენერლის ყურება და რამდენჯერმე დატუსაღებულ იქნა. ხოლო, როდესაც საბოლაოდ სწყდებოდა მათი არ ყოფნის საკითხი, დაატუსაღეს ამხ. ლუკიანე და ერთი კვირის პატიმრობის შემდეგ ვერაგულად დაცხრილეს მშრომელი ხალხის მტრებმა.

ორი წელი შესრულდა, რაც წითელ არმიას მოსწყდა ამნაირი ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი და ეს მაშინ, როდესაც თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებდა, ხოლო პროვინციაში დარჩენილ მაწანწალებს, კიდევ შეეძლოთ ასეთი სისაძაგლის ჩადენა. საქართველოს მშრომელი ხალხი სხვას არას მოელოდა იმ იდეიურად და პოლიტიკურად გაკოტრებულ პარტიისაგან თუ არა ასეთ რამეს. მთელი მათი ჯალათური არსებობის ისტორია მშრომელი ხალხის ცრემლებით არის სავსე და ამხ. ლუკიანეს დახვრეტით ერთი შავი ფურცელი კიდევ მიუმატეს მას.

ამხ. ლუკიანეს, როგორც პატიოსან მებრძოლს და რევოლიუციისათვის თავდადებულს, მუდამ კეთილათ მოიგონებს მშრომელი ხალხი, ხოლო წყევლა-კრულვით მათ, ვისაც წილი უდევთ მის და სხვა ამხანაგების დაღუპვაში. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უკვე დასდევს სასტიკი მსჯავრი კონტრ-რევოლიუციის ამ შავ მოციქულებს და იმპერიალისტების აგენტებს. იდეურად გაკოტრებულნი, ისინი პოლიტიკურად დასამარებულნი არიან დღეს. ამით იძია ჩვენმა ხალხმა შური მოღალატეებზე.

მ. ჭიპაშვილი.

[illegible]

რურის ოლქის ოკუპაცია

ფრანგების წინსვლა.

მოსკოვი. 2 მარტი. კენის-ვინტენის დაკავების შემდეგ ფრანგებმა დაიკავეს ბახარახი, ამ რეინი და ლორხი, ამ ჟამად დაჭერილია რეინის მთელი მარჯვენა ნაპირი კასტილიიდან ჰოლანდიის საზღვრამდე. ინგლისის ზონაზე ფრანგები გარშემორტყმული არიან.

მოსკოვი. 2 მარტი. „კორიერა დიტალიას" კორესპოდენტთან საუბარის დროს მთავრობის კომისარმა შტუკმა განაცხადა, რომ რურის ოლქში საფრანგეთის შეჭრის ნამდვილი მიზეზი იყო უთანხმოება საფრანგეთის და გერმანიის მრეწველებს შორის რურის, რეინის და აგრეთვე ლოტარინგიის მძიმე ინდუსტრიის გაერთიანებულ წარმოებაში პროცენტულ მონაწილეობის შესახებ. ეს განცხადება ადასტურებს იმ აზრს, რომელიც გამოთქვა ამ საკითხის შესახებ კომუნისტურმა პრესამ. ეს პრესა საფრანგეთის და გერმანიის ოფიციალურ განცხადების მიუხედავად ამტკიცებდა, რომ რურში სწარმოებს ბრძოლა პროცენტებისათვის.

ფერადი ჯარების ოპერაციები.

ბერლინი, 2 მარტი. 1 მარტს, საფრანგეთის ფერადი ჯარების მიერ დაკავებულ იქნა ერენშტეინის ვაგზალი.

ოკუპანტების რეპრესიები.

ბერლინი, 2 მარტი. საოკუპაციო ხელისუფალთა რეპრესიები გერმანიის პოლიციის წინააღმდეგ გრძელდება. ბახუმში, საზოგადოებრივ თანხების ხელში ჩაგდების მიზნით, კონფისკაცია უყვეს ყველა საზოგადოებრივ კასებს. აკრძალვა დაადვეს იმ თანხებს, რომელიც უნდა დაერიგებიათ ფოსტის მთავარ სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების სახით.

არ უშვებენ ნახშირს.

ბერლინი, 2 მარტი. დორტმუნდტიდან იტყობინებიან, რომ 27 იანვრიდან დაწყებული, ფრანგები არ უშვებენ ჰოლანდიაში ნახშირით დატვირთულ მატარებელს. ფრანგები ასაბუთებენ ამას იმით, რომ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ჰოლანდიისათვის ნახშირის მიწოდება შესრულებულია.

კანტროლის გაფართოება.

ბერლინი, 2 მარტი. მოკავშირეთა რეინლანდის კომისიამ დაადგინა გააფართოვოს საოკუპაციო მთავრობის კანტროლი კელინ-კობლენც-მაინცამდე.

ახალი დებულება რკინის გზების შესახებ.

ბერლინი, 2 მარტი. დიუსელდორფში მოკავშირეთა კონფერენცია ამზადებს ახალ დებულებას რკინის გზების შესახებ, არსებულ დებულების ნაცვლად.

ფრანგები დაეპატრონენ.

ბერლინი, 2 მარტი. საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებანი დიუსელდორფში არ იძლევიან ნებართვას გადმოტვირთონ სურსათი. აპატიმრებენ სატრანსპორტო მუშებს, რომელნიც არ ემორჩილებიან დეკრეტებს რეინლანდში საფრანგეთის სუვერენიტეტის შესახებ.

საფრანგეთის ხელისუფლებმა ხელში ჩაიგდეს 170 მილ. მარკა, რომელიც უნდა დაერიგებიათ „ადლერის" მაღაროების მუშებისათვის; ამას იმით ასაბუთებენ, რომ ამ კამპანიას რეიხსბანკი აძლევდა კრედიტებსო.

რურის გარშემო

ინგლისის მუშათა პარტიის წინადადება.

მოსკოვი. 2 მარტი. ინგლისის მუშათა პარტიამ შეიტანა პარლამენტში რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას იძლევა ეთხოვოს საფრანგეთის და ბელგიის პარლამენტებს გამოგზავნონ ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა კომისია ინგლისის თემთა პალატის კომისიასთან მოსალაპარაკებლად რურის ოკუპაციისა და რეპარაციის საკითხების შესახებ.

ლოძის მუშები რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

ბერლინი. 2 მარტი. პოლონეთის ტრედ-იუნიონების ლოძის კავშირმა გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია რურის ოკუპაციის და იმპერიალისტების სამხედრო ავანტიურების წინააღმდეგ.

კიდევ ერთი კომისია.

ბერლინი. 2 მარ. ინგლისის მთავრობამ თანხმობა განაცხადა განიხილოს „ლაბურ პარტიის" წინადადება რურის და საკონტრიბუციო საკითხების განსაკუთრებულ კომისიაში შეტანის შესახებ. ეს კომისია შედგენილი იქნება ბელგიის, ინგლისის და საფრანგეთის პარლამენტების წევრთაგან. ამ წინადადების განხილვა დანიშნულია სამშაბათისათვის.

რკინის გზის უწესრიგობა.

პარიზი. 2 მარტი. კობლენცის ახლო რკინისგზელ მუშების საბოტაჟის გამო ორთქლმავალების შეჯახება მოხდა. რკინის გზის ვიწრო ლიანდაგით სარგებლობა შეუძლებელი შეიქნა.

კუნოს წინააღმდეგ.

პარიზი. 2 მარტი. დიუსელდორფში გაფიცულთა კრებაზე ზოგიერთი ორატორის მიერ წარმოთქმული იყო სიტყვები, რომლებშიაც აკრიტიკებდენ კუნოს პოლიტიკას.

საფრანგეთი შუამავლობის წინააღმდეგ.

რომი. 2 მარტი. „ტანი" იუწყება საფრანგეთის მიერ რურის საკითხში უცხოთა სახელმწიფოს ყოველგვარი შუამდგომლობის უარყოფის შესახებ.

ისეც და ისეც.

ბერლინი. 2 მარტი. თემთა პალატაში ზოგიერთ შეკითხვების გამო ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ რურის ოპერაციები არ არის ცნობილი მოკავშირეთა მიერ და სწარმოებენ მხოლოდ საფრანგეთისა და ბელგიის ბრძანებით.

გერმანიის ამბები

ბავარიის ფაშისტები.

მოსკოვი. 2 მარტი, მიუნხენში ბავარიის ფაშისტები, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ხელით სასროლი ყუმბარებით, თავს დაესხენ სოციალ დემოკრატიული გაზეთის „მიუნხენერ პოსტ"-ის რედაქციას. ფაშისტებსა და სოციალ-დემოკრატების თავდაცვის რაზმის შორის გაიმართა სასტიკი ბრძოლა.

ახლო აღმოსავლეთში

საფრანგეთი დათმობაზე მიდის

ანგორა. 2 მარტი. ანატოლიის სააგენტო იტყობინება, რომ საფრანგეთი თანახმაა გამოჰყოს ეკონომიური საკითხები საერთო ხელშეკრულებიდან.

ზავი დამყარებულია ხიშტებზე

ანგორა. 1 მარტი. გაზ. „ენი გიუნი" „ტანთან" გამართულ პოლემიკაში სწერს: „ოსმალეთი სამხედრო მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი ახალ ომზე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ზავი ხიშტზეა დამყარებული.

8 საათის სამუშაო დღე.

ანგორა. 1 მარტი. სმირნის კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია 8 საათის სამუშაო დღის და საგაფიცვო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

საზავო ხელშეკრულების გარშემო

ანგორა. 28 თებერვ. გაზეთები იტყობინებიან, რომ გუშინ კომისართა საბჭომ ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების დახურულ სხდომაზე მხარი დაუჭირა საზავო ხელშეკრულების პროექტს. კამათში მონაწილეობა მიიღეს მუსტაფა-ქემალ-ფაშამ, საუფბეიმ, და სხვა დეპუტატებმა. სხდომის შედეგები დიდ საიდუმლოებას შეადგენს. სხდომა გრძელდება. რამდენიმე დღეში განზრახულია ლოზანაში მყოფ დელეგაციის ყველა წევრთა და მრჩეველთა მოხსენებების მოსმენა. კამათის დასრულების შემდეგ მეჯლისი გამოიმუშავებს მინიმალურ მოთხოვნილებებს.

სირიაში

ანგორა. 28 თებერვ. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო ანატოლიის და ალექსანდრეტის დელეგატებისაგან წერილი, რომელიც მოითხოვს სირიის ოსმალეთის ნაწილის განთავისუფლებას. სირია ამ ჟამად განიცდის სავაჭრო კრიზისს და შიმშილს. ფრანგებმა აკრძალეს სირიიდან კილიკიაში გადასვლა.

ინგლისის ფლოტის წასვლა

ანგორა. 28 თებერვ. გაზეთები იტყობინებიან, რომ ინგლისის ფლოტი გავიდა სმირნის ნავთსადგურიდან.

საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ

ანგორა. 1 მარტი. გაზ. „ენი ადანი" ილაშქრებს საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ აღმოსავლეთში და აცხადებს, რომ ფრანგები ვერ შესძლებენ ოსმალეთში იმის განმეორებას, რასაც ის გერმანიაში სჩადის.

ბერძნების ევაკუაცია

ანგორა. 1 მარტი. 1-ლ მარტამდე ტრაპიზონის ნავსადგურით გავიდა 27 ათასი ბერძენი.

ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ანგორა. 1 მარტი. გაზეთი „ტე-ჯა დიუტი" იტყობინება, რომ სისტემატიური თავდასხმას ახდენენ ინგლისელებზე ეგვიპტეში. ტერორისტებიდან ჯერ-ჯერობით ვერავინ ვერ აღმოაჩინეს. ინგლისის ცენზურა უკრძალავს გაზეთებს ტერორისტულ აქტების შესახებ ცნობების მოთავსებას.

ანგორის კაბინეტი და საზავო ხელშეკრულება.

მოსკოვი. 1 მარტი, „დეილი მეილ"-ს ანგორის კორესპოდენტი იტყობინება, რომ ანგორის კაბინეტმა, რომელიც ექვსი დღის განმავლობაში იხილავდა საზავო ხელშეკრულებას, მოიწონა ისმეტ-ფაშის პოზიცია, რომელმაც არ მოაწერა ხელი ხელშეკრულების ეკონომიურ პუნქტებზე.

ამერიკა და მოსული.

მოსკოვი. 1 მარტი, „ვაშინგტონის პრესის ბიურო" იტყობინება, რომ ამერიკის მთავრობა მხარს დაუჭერს ჩესტერს, „ნავთის ექსპლოატაციის საზოგადოების წარმომადგენელს, რომელიც ცდილობს მიიღოს ოსმალეთის მთავრობისაგან მოსულის ნავთის და რკინის გზების კონცესიები. ამერიკის მთავრობა თავს შეიკავებს ოფიციალური დახმარებისაგან, მაგრამ ჩესტერს აღუთქვამს „ყველა კანონიერ შეღავათებს".

ეკონომიური კონგრესი სმირნაში.

დასავლეთ ევროპის ბანდიტები.

ანგორა. 1 მარტი, სმირნიდან იუწყებიან, რომ ეკონომიურ კონგრესის 25 თებერვლის სხდომაზე მიწათ-მოქმედების ჯგუფის მოთხოვნილების განხილვის დროს, ბანდიტიზმთან ბრძოლის შესახებ ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა აკა კუნდუსი, რომელმაც აღნიშნა იმ ბანდიტიზმთან ბრძოლის საჭიროება, რომელიც შემოდის ოსმალეთში—ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის კაპიტალისტთა და სპეკულიანტების სახით. აკა კუნდუსმა მოიყვანა სმირნაში კაპიტალისტების ექსპლოატაციის და მცხოვრებლების ჩაგვრის მაგალითები. სხვათა შორის მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რკინის გზის მმართველობამ აუკრძალა მუშებს კონგრესისათვის დელეგატების არჩევა და როდესაც 5 მუშა მაინც იქნა არჩეული, გამგეობამ დაითხოვა ისინი სამსახურიდან. აკა კუნდუსის სიტყვას დელეგატები აპლოდისმენტებით და აღშფოთების ძახილით სწყვეტდენ.

უცხოელთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ანგორა. 1 მარტი. ეკონომიურ კონგრესზე განხილული იყო ვაჭართა ერთი ჯგუფის წინადადება ინგლისის ქვანახშირის ოსმალეთში შემოტანის აკრძალვის შესახებ, რათა ანატოლიის მრეწველობას მიეცეს გაუმჯობესების საშუალება. წინადადებას წინააღმდეგობა გაუწია კონგრესის წევრთა მცირე ჯგუფმა—მრეწველებმა და მიწისმფლობელებმა, რომლებიც ასაბუთებდენ ამ წინადადებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებას მოსაზრებებით კარდიფის ნახშირის იაფ ფასისა და მაღალი ღირსების შესახებ. ამ გამოსვლამ კონგრესის უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია. მოხდა მხურვალე შეხლა-შემოხლა. ერთი ორატორის შემდეგი განცხადების შემდეგ: „ჩვენ არ გვინდა კარდიფის ნახშირი, თუნდაც მისი ტონი—10 ფარათ ღირდეს"—კონგრესმა მიიღო წინადადება ინგლისის ნახშირის შემოზიდვის სრული აკრძალვის შესახებ.

მიღებული იყო აგრეთვე მთელი რიგი ზომებისა ანატოლიის ნახშირის წარმოების გაძლიერების მიზნით.

მუშათა ჯგუფი კონგრესზე.

მოსკოვი. 1 მარტი. კონგრესი შეუდგა მუშათა ჯგუფის მემორანდუმის განხილვას. მიღებულია მემორანდუმის პირველი 3 პუნქტი, მათ შორის მეჯლისში და ბელადისში კლასობრივ წარმომადგენლობის პრინციპი. მუშებს მხარს უჭერს, უმთავრესათ, მიწათმოქმედების ჯგუფი. კონგრესში მუშათა ჯგუფის გავლენა შედარებით ძლიერია.

საზავო ხელშეკრულების გარშემო.

ანგორა. 1 მარტი. ანატოლიის სააგენტოს ცნობით, ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების დელეგატები საზავო ხელშეკრულების პროექტს მოუღებლათ სთვლიან. განზრახულია ახალ ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებია გამომუშავება ოსმალეთის ინტერესების თვალსაზრისით.

მდგომარეობა იტალიაში

იტალიის სოციალისტ-რეფორმისტები.

მოსკოვი. 2 მარტი. იტალიის სოციალისტ-რეფორმისტებმა წარუდგინეს მუსოლინის მემორანდუმი, რომელშიც ჩამოთვლილია ომის დროს და ბოლშევიზმთან ბრძოლაში მათი დამსახურებანი და რომელიც მოითხოვს მიენიჭოს მათ ორგანიზაციის თავისუფლება. სოციალისტ რეფორმისტები სურვილს აცხადებენ აგრეთვე ფაშისტებთან თანამშრომლობაზე.

მაქსიმალისტების ყრილობა მილანში.

მოსკოვი. 2 მარტი. მილანში შემდგარ მაქსიმალისტების ყრილობამ, რომელშიც მონაწილეობდა 517 დელეგატი, 315 ხმის უმრავლესობით უარყო კომინტერნის მე-4-ე კონგრესის რეზოლიუცია. კომპარტიასთან დაუყოვნებლივ შეერთების მომხრეებმა თავი შეიკავეს კენჭის ყრის დროს.

ბელგიაში

სამთა-მადნო მუშების გაფიცვა ბელგიაში.

მოსკოვი. 2 მარტი. ბელგიაში სამთა-მადნო მუშების გაფიცვები გავრცელდა ცენტრალურ აუზზე. ბორინაჟში გაფიცვებს შეუერთდა ყველა სამთო-მადნო მუშები. კალსრუის მემაღაროეები გაიფიცენ, უარყვეს რა კავშირის შემთანხმებელ ხელმძღვანელთა წინადადება გადაეცეს დავა შერეულ კომისიას.

ვანდერველდეს გაზეთი „პეპლი" ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალს სდებს საგაფიცვო მოძრაობის მოწყობაში და აღნიშნავს იმ მეტად მღელვარე მდგომარეობას, რომელიც შეიქნა გაფიცვების გამო.

საფრანგეთი და რუსეთი

მოსკოვი. 2 მარტი. „ეკო ნაციონალ"-ის ცნობამ, რომელიც შეეხება საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებას განაახლონ მოლაპარაკება რუსეთთან, გამოიწვია დიდი მღელვარება პარიზის პოლიტიკურ წრეებში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო „ეკო ნაციონალ"-ის ცნობა, თუმცა ძლიერ გამოურკვევლად.

მიუხედავათ ამისა „ჟურნალ დე დება" ამტკიცებს, რომ აღნიშნული ცნობა შეეფერება სინამდვილეს.

„ეკლერ"-ი ადასტურებს ცნობას, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშავდება პროექტი რუსეთში სავაჭრო მისიის გაგზავნის შესახებ.

სხვადასხვა ამბები

ჩეხიის სოციალ-დემოკრატები.

მოსკოვი. 2 მარტი. ჩეხიის სოც.-დემოკრატიის ორგანო აცხადებს, რომ ჩეხიის სოციალ-დემოკრატები მიემხრობიან უფრო ადრე ბურჟუაზიასთან კოალიციას, ვინემ მუშათა მთავრობას კომუნისტებთან ერთად.

ბოლგარეთში.

მოსკოვი. 2 მარტი. მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მოთხოვნით ბოლგარიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა ჩამოერთვას იარაღი ყველა არა სამხედრო მოქალაქეებს. სოფიაში სწარმოებს ჩხრეკა. აღმოჩენილია იარაღის, სამხედრო მასალის და ასაფეთქებელი საგნების დიდი რაოდენობა.

ამერიკა და ერთა ლიგა.

მოსკოვი. 2 მარტი. განხილვა გარდინგის მიერ სენატში შეტანილ წინადადების, ერთა ლიგის საერთაშორისო ტრიბუნალში ამერიკის მონაწილეობის შესახებ, გადადებულია განუსაზღვრელ დროისათვის. გაზეთების აზრით არ არის იმის შანსი, რომ სენატი მიიღებს ამ წინადადებას.

ვენის ამბები.

მოსკოვი. 2 მარტი. ვენაში მონარქისტების მიერ მოკლული მუშა დასაფლავებულ იქნა დიდის პატივისცემით. დასაფლავებას დაესწრო აურაცხელი მუშა ხალხი.

ჰოლანდია და რუსეთი.

მოსკოვი. 2 მარტი. ჰაგის გემთა საამშენებლო სახელოსნოების მეპატრონეთა წლიურ კრებაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს რ. ს. ფ. ს. რ.-თან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას.

ჰანრი ბარბიუსი კომპარტიის წევრი.

მოსკოვი. 2 მარტი. ჰანრი ბარბიუსი წერილში, რომელიც დაიბეჭდა „იუმანიტე"-ში, აცხადებს საფრანგეთის კომპარტიასთან მის ფორმალურ შეერთების შესახებ და ხაზს უსვამს მას, რომ ის სავსებით იწონებს კომინტერნის 4-ე კონგრესის გადაწყვეტილებებს საფრანგეთის კომპარტიის შესახებ.

წითელი რადიოგრამები

რუსეთი

მრეწველობის მდგომარეობა სიმბირსკის გუბერნიაში.

მოსკოვი. 2 მარტი. სიმბირსკის საგუბერნიო სახ. მეურნეობის საბჭოთა არსებულმა მრეწველობის საბჭომ სიმბირსკის გუბერნიის დათვალიერების შემდეგ გამოარკვია, რომ მრეწველობის მრავალი ორგანოები გაკოტრების წინ იმყოფებიან საბრუნავი საშუალებათა ნაკლულოვანების გამო. ლითონის დამმუშავებელი, პოლიგრაფიული და სხვა დარგები ისპობიან. მრეწველობის საბჭომ დაადგინა დაარსოს ყველა დარგებისათვის ნაწარმოების გასასაღებელი ორგანო.

რკინის გზებზე.

მოსკოვი, 2 მარტი. ციმბირის რევკომმა მოიწონა სააქციონერო საზოგადოების წესდება მინუსინის რკინის გზის გაყვანის შესახებ. რკინის გზის მოსათავებლად და საექსპლოატაციოთ გამოშვებულია 180,000 აქცია—50 მან. ოქრ. თითო აქციების უმეტესობას იძენს სახელმწიფო. რკინის გზის გაყვანა უნდა დასრულდეს 1925 წლის 1 იანვრისათვის, რკინის გზა გადადის საზოგადოების ხელში 20 წლის განმავლობაში. სახელმწიფოს აქვს უვადო გამოსყიდვის უფლება.

„სოფლად მუშაობის ახალი გზები“.

მოსკოვი. 2 მარტი. კოპილოვი „პრავდა“-ში ათავსებს წერილს—„სოფლად მუშაობის ახალი გზები“, რომელშიაც აღნიშნავს: ქალის შეფობა სოფელზე თანდათან ტარდება რესპუბლიკის ზოგიერთ გუბერნიებში. შეფობის დამხასიათებელია მისი ფართო მასიური ხასიათი. სოფლის ჩამორჩენილობასთან საბრძოლველად მოწვეულია მუშა, პროლეტარი სტუდენტი, წითელი არმიელი და სინიდისიერი ინტელიგენტი. საჭიროა უფრო შეთანხმებული მუშაობა. მაშინ ამ ფრონტზე გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება“.

სრულიად უკრაინის კოლექტიურ მეურნეობათა ყრილობა.

მოსკოვი. 2 მარტი, სრ. უკრაინის კოლექტიურ მეურნეობათა ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი ვერ იჩენს საკმაო ენერგიას კოლექტიურ მეურნეობისთვის სხვა და სხვა შეღავათების დათმობაში და მოთხოვნილი იყო კოოპერატივების ნივთიერ სახსარის გაძლიერება გრძელ ვადიან კრედიტის დაწესებით და კოლექტიურ მეურნეობებში შრომის მეცნიერულ ორგანიზაციით.

საღამო რენტგენის ხსოვნის აღსანიშნავად.

მოსკოვი. 1 მარტი. მეცნიერების სახლში გაიმართა საღამო რენტგენის ხსოვნის აღსანიშნავად. მოხსენებებით გამოვიდენ აკადემიკოსი იოფფე და სხვა გამოჩენილი მეცნიერები.

ტემირიაზევის სახელობის პრემია.

მოსკოვი. 1 მარტი. მეცნიერთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიამ დაადგინა დაარსდეს პროფესორ ტემირიაზევის სახელობის სპეციალური პრემია მეცნიერულ მუშაობისათვის.

კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა.

მოსკოვი. 1 მარტი. უმაღლესი ტრიბუნალის სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა დახვრეტა მეფის ყოფილ პოლკოვნიკს სვეჩევსკის, რომელსაც ბრალს სდებდენ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობაში, ჯაშუშობაში და სავინკოვის ორგანიზაციასთან კავშირში. რაჩევსკის, რომელიც მალავს სვეჩევსკის, მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელი, ხოლო მის ცოლს—ერთი წლის ციხე. ამნისტიით რაჩევსკის დახვრეტა შეუცვალეს 10 წლის ციხით სასტიკი იზოლიაციით. მისი ცოლი განთავისუფლეს სასჯელისაგან. სვეჩევსკის, როგორც მოწამლულ კონტრევოლიუციონერს და საბჭოთა ხელისუფლების მტერს, ტრიბუნალმა სასჯელი არ შეუცვალა.

რუსეთის ჯარების რეპატრიაცია.

მოსკოვი. 2 მარტი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მიიღო დეპეშა პუანკარესაგან, რომელშიაც უკანასკნელი საფრანგეთში დარჩენილ რუსეთის ჯარისკაცების რეპატრიაციის დაგვიანებას ხსნის იმით, რომ მას ჯერ პარლამენტისაგან არ მიუღია კრედიტი ამ მიზნისათვის. ამავე მიზეზით საფრანგეთის მთავრობამ გადასდო რუსეთის წითელი ჯვრის დელეგაციისათვის ვიზების მიცემა. პუანკარე პირობას იძლევა, რომ ვიზების მიცემა დაიწყება პარლამენტის მიერ კრედიტის გაღების შემდეგ.

სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება.

მოსკოვი. 2 მარტი. გაზეთი „ტრუდ“ მიუთითებს რა სამუშაო ხელფასის უთანასწორო განაწილებაზე მძიმე და მსუბუქ ინდუსტრიაში, გადაჭრით უარყოფს წინადადებას სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების შესახებ. გაზეთის აზრით, სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება მიზან-შეუწონელი და დაუშვებელია. ის არ არის გამოწვეული პრაქტიკული აუცილებლობით და წარმოადგენს ძველ მეთოდს, რომელიც უკვე ჩაბარდა ისტორიას. მწვავედ რჩება საკითხი სახელმწიფო საშუალებათა განაწილების შესახებ მრეწველობის და ტრანსპორტის უმთავრესი დარგების განმტკიცების მიზნით. ბევრს შეიძლება მივახწიოთ არა ბიუროკრატიული, არამედ ეკონომიური ზეგავლენის საშუალებით.

ორგანიული ზრდა.

მოსკოვი. 2 მარტი. „პრავდა“ სტატიაში „ორგანიული ზრდა“ სწერს: 17 წლის განმავლობაში ჩვენ წარმოვადგენდით მუშათა კლასის არა-ლეგალურ ორგანიზაციას. 8 თვეს ჩვენ ვაწარმოებდით ბრძოლას ძალა-უფლების მოსაპოებლად. ჩავდექით რა სახელმწიფოს სათავეში, ჩვენ სამი წლის განმავლობაში ვიგერიებდით ბურჟუაზიის თავდასხმას. სანამ საერთაშორისო პროლეტარიატს არ დაუგროვებია საკმაო ძალები, ჩვენ განზრახული გვაქვს ვაწარმოოთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ამ ჟამად საჭიროა განვითარება და გაუმჯობესება ჩვენი აპარატების და მუშაობის მეთოდის, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის და ურთიერთობის სწორი განსაზღვრა, რევოლიუციონურ შეურიგებლობის ცხოვრების რეალურ გრძნობასთან შეთანხმება.

ამხ. ტროცკი — რევოლიუციონურ სამხედრო ტრიბუნალის საპატიო წევრი.

მოსკოვი. 2 მარტი. რევოლიუციონურ-სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. ტროცკი, რომელმაც ხელი მოაწერა პირველ ბრძანებას რევ. სამხ. ტრიბუნალის დაარსების შესახებ, აირჩია თავის საპატიო წევრად.

საწარმოო სპექტაკლები.

მოსკოვი. 2 მარტი. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მუდმივი სანიმუშო გამოფენა მარტში და აპრილში დიდ თეატრში მართავს საწარმოო სპექტაკლებს. სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები, ორკესტრი და დიდი თეატრის ხორო. საწარმოო სპექტაკლების დადგმა, რომელიც მოიწონა რუსეთის კომპარტიის ცეკამ, წარმოადგენს საწარმოო აგიტაციის ახალ ფორმას.

საბინაო ამხანაგობები.

მოსკოვი. 2 მარტი. მუშავდება ახალი დებულება საბინაო ამხანაგობების შესახებ, რომლის თანახმად არა მშრომელი ელემენტები განდევნილი იქნებიან ამხანაგობების შემადგენლობიდან და მათ შეუძლიათ ისარგებლონ შენობებით იმ პირობების თანახმად, რომელსაც აწესებს ამხანაგობების წევრთა საერთო კრება.

ოქროს ფონდის განაწილება.

მოსკოვი. 2 მარტი. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა მიიღო მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი 20 მილიონიან ოქროს ფონდის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციებზე განაწილების შესახებ, ყველაზე მეტი რაოდენობით კრედიტი მიეცა უკრაინას—3,800,000 მან. ციმბირს—2,000,000, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის—300,000 მან,, თურქესტანს—1,100,000 მან., ქვემო-ოლქის რაიონს—800,000, კავკასიის რაიონს—500,000, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის—800,000, ჩრდილოეთ-უფის და ბაშკირეთის რაიონებს—500,000(თვითეულს) შუა ჩერნოზიომის რაიონს—1,100,000, გერმანელთა კომუნას, პენზენის და გომელის გუბერნიებს—100,000 (თვითეულს), ცარიცინის გუბერნიას — 250,000, ვიატკის — 300,000, შუა-დასავლეთის რაიონს—300,000, შუა-ვოლგის რაიონს—1,000,000, დასავლეთის—500,000, ცენტრალურს—800,000, კავკასიის რესპუბლიკებს—700,000, შორეულ-აღმოსავლეთის ოლქს—500,000 ბელორუსიას—200,000, ენისეის გუბ.—350,000, ალტაის—400,000.

პურის მეორე სესხი.

მოსკოვი. 2 მარტი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ფინანსთა სახალხო კომისარიატის პროექტი პურის მეორე სესხის ობლიგაციების გამოშვების შესახებ, რომლის რაოდენობა უდრის 30.000.000 ფუთ შვრიას, სერიებით—10.000.000 ფუთ თვითეული.

შეშის შეღავათიან ფასებში გადაზიდვა.

მოსკოვი. 2 მარტი, სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მუშებისათვის შეშის შეღავათიან ფასებში გადაზიდვის ვადათ ითვლება 31 მარტი. ის შეშა, რომელიც იტვირთება 31 მარტამდე და რჩება გაუგზავნელად, გაიგზავნება შეღავათიან ტარიფით აპრილში.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მოსკოვი. 2 მარტი. სრულიად-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სპეციალური პავილიონი ეწყობა მანქანებისა და იარაღებისათვის. უკანასკნელ დროს გამოფენის კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი შეკითხვები უცხოეთის ფირმებისაგან.

ოქროს სესხი.

მოსკოვი. 2 მარტი. სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ საჭიროა გაფართოებული იქნეს მუშაობა გლეხებს შორის ოქროს სესხის გავრცელებისათვის. საჭიროდ აღიარეს აგრეთვე ჩაბაან სესხის განაღდების საქმეში აგრეთვე მცხოვრებთა სავაჭრო-სამრეწველო წრეებიც.

სრულიად რუსეთის სასურსათო თათბირი.

მოსკოვი. 2 მარტი. სრულიად რუსეთის სასურსათო თათბირზე მიექცა ყურადღება თევზის სახელმწიფო მრეწველობის ზრდას.

ამ მრეწველობის განვითარებას აბრკოლებს ადგილობრივ ორგანოების ტენდენცია ადგილობრივი ხასიათის შემოსავლიან წყაროების გაფართოებისა ადგილობრივ ბიუჯეტის შესავსებათ. სახელმწიფო სამრეწველოებში 1922 წ. დაჭერილია თევზი 17 მილ. ფუთის რაოდენობით.

მთავარ სარდალი ამხ. კამენევი წითელი არმიის შესახებ

წითელი არმია შემცირებულია კადრის შემადგენლობამდე. იგი გახდა გამარჯვების შკოლა, რომელშიაც უნდა გატარდენ ყველა პარტიის წითელი მხედრები, რათა მოკლე ვადის განმავლობაში მოემზადონ და გახდენ ღირსეულნი იმ გმირებისა, რომელთაც ისინი შეცვლიან. წითელი არმია მომზადების გზას დაადგა, და ყველა მუშაკებმა უნდა გამოიჩინონ მეტი მოფიქრება თავიანთ მუშაობაში. არაფერი ზედმეტი, მხოლოდ ყველაზე აუცილებელი საგანი უნდა შეისწავლონ წითელი არმიის მებრძოლებმა ამ ახალ შკოლაში.

წითელი არმიის მნიშვნელობა უცვლელი რჩება. იგი ძველებურად არის პროლეტარული რევოლიუციის ავანგარდი. წითელი არმია ყოველთვის მზად უნდა იყოს მის წინაშე დასმულ ამოცანების შესასრულებლად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი კადრების მუშაობა. ისინი ამზადებენ წითელ მებრძოლებს განსაზღვრულ ამოცანების შესასრულებლად და თვით ეს ამოცანა რამდენადაც იგი თავს იჩენს იმპერიალისტურ სახელმწიფოების ურთიერთობის დროს,—რურში, სრუტეების საკითხში და სხვა—უფრო დეტალური ხდება და მუშაობაც გაცხოველებულია.

ამასთანავე ერთად ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ წითელი არმიის მუშაობის საერთო პირობები საკმაოდ მძიმეა, რის გამოც წითელი არმია მოითხოვს ძალიან დიდ ყურადღებას ყველა სახელმწიფო დ. პროფესიონალურ ორგანიზაციების მხრივ. რაც უფრო მეტი ყურადღება და ზრუნვა იქნება გამოჩენილი წითელი არმიელისა, საკომანდო შემადგენლობისა და პოლიტიკურ შემადგენლობისადმი, მით უფრო მეტი წარმატებით წავა ახალგაზრდა წითელი მებრძოლების მომზადების საქმე.

წითელი არმია დარწმუნებულია, რომ თავის არსებობის 6 წლის დასაწყისში, იგი მართლადაც აგხდება მთავარ საზრუნავ საგნად და წვრილმან საზრუნავ საქმისაგან განთავისუფლებული იგი კიდო უფრო მეტად დასჭიმავს თავის ძალებს თავის მებრძოლთა სათანადოთ მოსამზადებლად.

ამხ. ნიუბოლდის წერილი პეტროგრადის მუშებისადმი

ამხ. ნიუბოლდმა, როდესაც ის სტოვებდა პეტროგრადს, მიმართა პიტერის მუშებს წერილით, რომელშიც ქალაქ მონტერესლის კომუნისტებისა და უმუშევარ პროლეტარების სახელით გადასცემს ინტერნაციონალურ, პროლეტარულ სოლიდარობის და ერთგულობის გრძნობას და ამბობს, რომ ის გადასცემს თავის ამხანაგებს რუსეთის პროლეტარიატის იმ გმირობას, ენტუზიაზმს და გამარჯვებას, რომელიც მან ინახულა რუსეთში.

ამხ. ნიუბოლდი ათავებს თავის წერილს შემდეგი განცხადებით: „მე გამხნევებული ვარ მით, რომ დაამარცხეთ რა თქვენი მტრები, გადალახეთ რა თქვენი დაბრკოლებანი, თქვენ მაღლა დაიჭერთ კომუნიზმის წითელ დროშას იმ მომენტამდე, როდესაც დედა ქალაქიდან მეორე ქვეყნის დედა ქალაქამდე, ქვეყნიდან ქვეყნამდე გავრცელდება ხმა, რომ აქაც-იქაც, ყოველგან, ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს მუშებმა.

უცხოეთის ცხოვრება

მუშათა პარტია სამხრეთ-სლავიაში

სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დაარბია კომუნისტური პარტია, ციხეებში ჩაყარა მრავალი მუშა-კომუნისტები; კლუბებს, კასსებს და მთელს მათ ქონებას კონფისკაცია უყო და კაპიტალისტების ერთგულ ლაქიებს-სოციალ-დემოკრატებს-გადასცა. მაგრამ მიუხედავათ არაჩვეულებრივ დევნისა, მუშებმა ერთი წუთითაც არ შესწყვიტეს ბრძოლა. 24 დეკემბერს ბელგრადში მუშათა კონფერენცია შესდგა.

ამ კონფერენციაზე მოსმენილი იყო ტრიმა-კაცლეროვიჩის მოხსენება. სამხრეთ-სლავიაში მუშათა პარტიის დაფუძნების აუცილებლობის შესახებ.

თავის მოხსენებაში მან, სხვათა შორის, შემდეგი აღნიშნა:

„მთავრობამ აკრძალა პარტიის შექმნის შესახებ კომიტეტის მოწოდების გამოშვება. მან ეს მოწოდება ამბოხებათ ჩასთვალა. (სიცილი). ჩვენ გვსურს შევქნათ მუშათა პარტია კანონის საფუძველზე და კანონიერების ფარგლებში, მთავრობას კი სურს ამის აკრძალვა თანახმათ „კანონისა სახელმწიფოს დაცვის შესახებ“. მთავრობა აცხადებს, რომ მუშათა პარტიის დაარსება გამოიწვევს კომუნისტურ და რევოლიუციონურ პროპაგანდის გავრცელებას.

„სამხრეთ-სლავიის პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს თავის ვალს საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ. ჩვენ არ დაგვიწყებია არც ბალკანეთის მდგომარეობა. გამარჯვების საწინდარი—ბალკანეთის პროლეტარულ პარტიების მჭიდრო კავშირშია“.

ამ კონფერენციაზე ერთხმათ იყო მიღებული დადგენილება მუშათა პარტიის დაარსების შესახებ, რისთვისაც მოწვეული უნდა იქნას ა. წ. 7 იანვრისათვის მთელი ქვეყნის მუშათა საერთო კონფერენცია.

კონფერენციამ გამოსცა მოწოდება სერბიელ და ხორვატულ ენებზე, რომელშიაც ის აცნობებს სამხრეთ-სლავიის პროლეტარიატს მიღებულ გადაწყვეტილების შესახებ და წინადადებას აძლევს ბელგრადის მუშებს აიღონ მისგან მაგალითი, გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები დამფუძნებელ კონფერენციაზე და შევიდენ მომავალ მუშათა პარტიაში.

ეს ამბავი მოხდა სამხრეთ-სლავიაში დაწყებულ საარჩევნო კომპანიისა და ჰუნგრეთის საზღვარზე მობილიზაციის დროს. მთავრობა დაფრთხა, როგორც ეს სწორათ აღნიშნა ამხ. კაცლეროვიჩმა, 59 კომუნისტურ დეპუტატისა და 200,000 კომუნისტურ ამომრჩეველთა წინაშე, კომუნიზმის აჩრდილის სახის წინ, აკრძალა ახალ რევოლიუციონურ მუშათა პარტიის დაარსება და დაატუსაღა მისი ინიციატორები.

მთავრობამ კარგათ იცის, რომ მუშათა პარტია, თუნდაც ლეგალური უკეთუ მას სურს იქნეს ჭეშმარიტ პროლეტარულ და რევოლიუციონურ ორგანიზაციათ, როგორათაც მართლაც სურს გახდეს სამხრეთ-სლავიის მუშათა პარტიას, არ შეიძლება არ გახდეს კომუნისტურ პარტიათ ე. ი. მუქარათ კაპიტალისტურ წესწყობილების არსებობისათვის. კანონიერებისა და ლეგალურ ბრძოლის საშუალებით, როგორც აღნიშნა ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა ენგელსმა, მუშათა კლასი მხოლოდ მოიგებს და ბურჟუაზია კი წააგებს ჩახმება და დაიღუპება.

საქართველოს ტექნიკური [illegible]
ნელო [illegible]
სატსამბო
მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ-სენაკში.
ყველაფერი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტექნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის პარლამენტში

მუშათა პარტიის ოფიციალურმა მომხსენებელმა მორელმა თავის გუშინდელ საპარლამენტო სიტყვაში საგარეო პოლიტიკის შესახებ განაცხადა შემდეგი: „მე მინდა ვურჩიო პრემიერ მინისტრს გადასინჯოს ინგლისის მთავრობის პოზიცია რუსეთის მიმართ. **ეს გადასინჯვა აუცილებლად საჭიროა, ინგლისში გაძლიერებულ უმუშევრობის გამო,** და აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის საკითხის სისწორით მოწესრიგების მიზნით, ვინაიდან, როგორც ლოზანას კონფერენციამ დაგვანახვა, ამ საკითხის რუსეთის გარეშე მოწესრიგება შეუძლებელია. გარეშე საქმეთა მინისტრთან უკანასკნელ ჩემი საუბრის დროს, მინისტრმა განაცხადა, რომ ის პირობები რომელშიაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა მზად არის იცნოს საბჭოთა მთავრობა ყველასათვის ცნობილია. ეს პირობები მდგომარეობს შემდეგში: რუსეთის მიერ ვალების ცნობა, კერძო საკუთრების აღდგენა ან კონფისკაციით ჩამორთმეულ საკუთრების ნამდვილი კომპენსაცია და პოლიტიკური პროპაგანდის შეწყვეტაო.“ ასეთი განცხადება ჩემთვის ძალიან ბუნდოვანია.

მე მინდოდა გამეგო, განაგრძობს ორატორი,—ქონდა თუ არა სახეში საგარეო საქმეთა უწყების წარმომადგენელს ვალების აღიარებაზე რომ ლაპარაკობდა ის დაპირდაპირება მოთხოვნილებანი, რომელსაც რუსეთი დაგვიყენებდა ჩვენ. ქონდა თუ არა მას სახეში შემცირებაა რუსეთის ვალები, თუ ის მოითხოვს ამ ვალების მთლიანად გადახდას?

ქონდა თუ არა მას სახეში, კომპენსაციაზე რომ ლაპარაკობდა, ამ ინდივიდუალურ ვალების საკითხების ჩვეულებრივ დიპლომატიურ მოლაპარაკების წესით გადაჭრა. ბოლოს ლაპარაკობდა რა პოლიტიკურ პროპაგანდის შესახებ, მთავრობას აღმ სახეში არ აქვს პალატის პატივც მულ წევრის ნიუბოლდის სიტყვ პოლიტიკურ პროპაგანდაში რუსეთი წინააღმდეგ ბრალდების წაყენებ არ ერთხელ ყოფილა გაზ. „ტაიმსში ამ ცნობებს მაშინვე აბათილებდა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელ მაგრამ ეს უარყოფა არასოდეს გა „ტაიმსში“ არ დაბეჭდილა. რატო არ უნდა ავიღოთ ჩვენ ინიციატივ ათავებს სიტყვას ორატორი, რუსე თან ჩვენი უთანხმოების მოწესრი ბის და მასთან უშუალო მოლაპარ კების განახლების საქმეში.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სა მშენებლო მუშების ზომიერმა ლ დერმა სექსტონმა. ორატორმა თავ სიტყვაში თავისი კრიტიკა მიმარ როგორც რუსეთის ბალშევიკების, ის ნიუბოლდის წინააღმდეგ. სექსტონ სიტყვას აწყვეტინებენ მუშათა პარ ტიის უფრო მემარცხენე ელემენტებ საპროტესტო ყიჟინით. სექსტონ შემდეგ გამოვიდა ხაზინის კანცლე ბოლდუინი, რომელიც შეეხო ნი ბოლდის სიტყვას, განსაკუთრებით სიტყვის იმ ადგილს, სადაც კომ ნისტმა დეპუტატმა განაცხადა, რო როდესაც მუშათა პარტია ძალ უფლების ხელში ჩაგდების შემ გაკოტრდება, მაშინ მისი მოადგი იქნება კომუნისტური პარტიაო.

ამის გამო ბოლდუინმა გაუკეთა კამათს რეზიუმე განაცხადა: „მე მ ხარული ვარ შემთხვევით, ხაზი გ სვა იმ ფაქტს, რომ მე სულით გულით უერთდები მუშათა პარტ პროტესტს კომუნისტური დეპუტა ამ განცხადების წინააღმდეგ, რომ საც მუშათა პარტია შეადგენს მთა რობას, ჩვენ ყველანი ვუსურვებთ მ წარმატებას ქვეყნის მართვა-გამგ ბის დროს“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალციხის მაზრა

ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება. მუშათა კოოპერატივის, აღმასკომის, პროფკავშირთა საბჭოს და ახალციხის ადგილკომების წევრთა პლენუმის გაერთიანებულ სხდომა მიღებულია დადგენილება—დაარს დეს ახალციხეში, საქართველოს სა ხალხო კომისართა საბჭოს უკანა ნელი დეკრეტის თანახმად, ერთია მომხმარებელი საზოგადოება („ერ ახალციხეში დღემდე არსებული ად

„საქმენმან შენმან გამოგაჩინოს შენ“

გაზეთ „მუშის“ № 81 და „მიწის მუშის“ № 100-ში (27 თებერვლ.) მოთავსებულია ამხ. პ. ს—ძის წერილი ამ სათაურით: **„მწიფეს ესროდენ, კუზე სცვივოდაო“.**

ამხ. პ. ძ—ძე ამ წერილში ეხება ბევრ უარყოფით მხარეს განათლების კომისარიატის მუშაობაში და მთავარ ყურადღებას აქცევს კომისარიატის სახალხო მასწავლებლებისადმი უყურადღებობას. ჩვენ ვიცით, რომ „არ სცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს“, მაგრამ თუ ასე შრომობს და ზრუნავს სახალხო მასწავლებელზე ამხ. პ. ს—ძე რატომ მოხდა მან ასე დაგვიანებით დაიწყო მასწავლებლებზე ზრუნვა, ვინემ ამას თვით მთავრობა, ან სახალხო განათლ. კომისარიატი მიაქცევდა ყურადღებას. სად იყო მაშინ თვით ამხ. პ. ს—ძე, ან მისი კალამი, როცა სახალხო განათლების საქმე დიდ კრიზისს განიცდიდა. მაშინ რომ უფრო ხშირად ეწერა გლეხურ და მუშურ გაზეთებში ამხ. პ. ს—ძეს, მე დარწმუნებული ვარ უფრო მეტი ფასი ექნებოდა მის ნაწერს, ვინემ ახლა ე. ი. როცა ენერგიული ზომებია მიღებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ სწავლა-განათლების გასაჯანმრთელებლად საქართველოში და არავითარი მოგონება არ ესაჭიროება მთავრობას იმაზე, თუ რა უნდა აკეთოს მან სახალხო მასწავლებლობის უზრუნველსაყოფათ.

საბჭოთა ხელისუფლებას არას დროს არ დავიწყებია სასკოლო საქმის სათანადო დონეზე დაყენება და არც ის პრინციპი, რომ სასკოლო საქმის ჩამორჩენილობა ვერ **შექმნის სახელმწიფოში მტკიცე კომუნისტურ საზოგადოებას.**

ჩვენ კრიტიკა გვწამს სალი, რეალური, სინამდვილესთან ახლო და არა ორაზროვანი.

ამხ. პ. ს—ძის წერილი ამტკიცებს, რომ საერთოდ განათლების საქმისა და ხელოვნების დარგს, კერძოთ საქართველოში, ძლიერ ჩამორჩენილობა ეტყობა და ამიტომაც გამოდის ის დაუსაბუთებელი ფაქტებით.

ჩვენ მრავალჯერ აღგვინიშნავს გაზეთის ფურცლებზე საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის სამი პერიოდი: სამხედრო კომუნიზმი, ორგანიზაციული მუშაობა და აღმშენებლობითი ხანა. მაგრამ ავად თუ კარგად სამხედრო კომუნიზმმა თავისი დრო მოჭამა, ორგანიზაციული მუშაობა ასე თუ ისე დადებითად ჩატარდა და დაიწყო ახალი ხანა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში, **აღმშენებლობითი მუშაობა.**

აღმშენებლობითი მუშაობა, რა თქმა უნდა, მძიმე პირობებში სწარმოებდა და ასეთ მძიმე პირობებში ჩვენ მხოლოდ ერთი წელიწადია რაც ვმოღვაწეობთ. ამ ერთი წლის განმავლობაში სტიქიურ მოვლენათა და განადგურებათა მიუხედავათ, განათლების კომისარიატის საშუალებით შევქმენით ის, რაც შეუძლებელი იყო. სასკოლო შენობები წყალდიდობის გამო სრულიად დანგრეულია და გაპარტახებული თითქმის მთელ საქართველოში. მიწის ძვრით გორში დამსხვრეული სასწავლებლებ და სტიქიით განადგურებული ადგილობრივი მოსახლეობა, რასაკვირველია, სასკოლო საქმის გასაუმჯობესებლად ძლიერ მძიმე პირობებში ჩავარდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ამ მცირე ხნის განმავლობაში განათლების კომისარიატმა გააკეთა ის, რისიც გაკეთება დამკვრელ საქმიანობის ხასიათის მიხედვით მართლა რომ საფუძლიანი და დიდ საქმედ იქნა მიჩნეული.

ყველა მაზრებსა და სოფლებში ჩატარდა სკოლების სარემონტო მუშაობა, რამაც ბოლოს მოგვცა 90—85 პროც. შეკეთებული სკოლები. მაგ. სენაკის, ქუთაისის, ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებში. სასკოლო შენობების შეკეთების მეოხებით წრეულს სწავლა მთელ საქართველოში ყველგან ნორმალურად მიმდინარეობს, არის მხოლოდ დუშეთის მაზრა, საცა რამოდენიმე სკოლა ურემონტობის გამო ვერ მუშაობს, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში და მომავალშიაც დუშეთის მაზრას და საერთოდ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ულიმის უფრო დადებითი მუშაობა ამ მხრით, ვინაიდან თვით ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის უკანასკნელ სესიის დადგენილების თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს სასკოლო საქმის გააჯანმრთელებას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული.

ვამბობ და ვამტკიცებ, რომ რემონტიული პერიოდი დასრულებულია, სწავლა ყველა სასწავლო შენობებში ნორმალურად სწარმოებს.

მაგრამ, საუბედუროთ, ამხ. პ. ს—ძეს არ უნდა ამის გაგება.

მეორე უფრო სერიოზული—ეს მასწავლებელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის უზრუნველყოფაა.

აქაც საჭიროა ამხ. ს-ძეს გავახსენოთ, რომ ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოტანილ დადგენილების თანახმად, **მ. სწავლებლების მატერიალურად უზრუნველყოფის შესახებ, დანაკირებს უკვე რეალიზაცია უყავით და მასწავლებლები გაცილებით ამ თვეებში მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილნი არიან, ვინემ აქამდი.**

ეს უნდა იცოდეს ამხ. პ. ს-ძემ, რომ მასწავლებელთა დღევანდელი ხელფასი შედარებით დეკემბრის ჯამაგირებთან ხუთჯერ გადიდებულია და ისინი **თებერვალში უფრო მაღალ (12—13) კატეგორიაში არიან გადაყვანილი** (აქ ვლაპარაკობთ სახალხო მასწავლებლებზე). ასე, რომ არ შეგვიძლია ჯერჯერობით კიდევ უფრო ავწიოთ მასწავლებელთა ხელფასი, სანამ ამის უფლებას სახელმწიფოებრივი საშუალებანი არ მოგვცემს **და უეჭველია მასწავლებელთა ჯამაგირი მომავალში გაუთანასწორდება საერთო საკვებ მინიმუმს.**

ამას ყველაფერს, ამხ. პ. ს-ძე, დაკვირვება უნდა, სასკოლო საქმეში მთავრობის პოლიტიკის თვალყურის დევნებაა საჭირო და მაშინ არ მოგივათ ის, რაც გუშინწილდელ გაზეთის ფურცელზე მოათავსეთ.

თქვენი წერილიდან სჩანს, რომ **სრულიად არ იცნობთ საბჭოთა სისტემას განათლების და ხელოვნების დარგში.** ხელოვნებაში თქვენ უარყოფთ ბალეტისა და ოპერის არსებობას და მის მაგიერ გაიძახით სკოლები გავაშენოთო. ამას მე მგონია, უსუსური ბავშვიც კი არ იტყოდა და თუ გინდათ არც ის გლეხის შვილი, რომლისთვის თქვენ გგონიათ, რომ მარტო თქვენ იბრძვით.

განა ჩვენთვის ბალეტი და ოპერა საჭირო არ არის? განა საბჭოთა სისტემა და წესწყობილება ბალეტის და საოპერო თეატრების არსებობას უარყოფს. მე არ ვიცი ასეთი სისტემა. და თუ ამხ. პ. ს-ძე მიმითითებს, მე მადლობელი ვიქნები. განა მოსკოვში, იმავე საბჭოთა რუსეთში, არ არიან გადაყვანილი სახელმწიფო ხარჯზე მთავრობის მიერ მოსკოვის დიდი, პატარა სამხატვრო თეატრები. და ამითი თქვენ შეგიძლიათ დასწამოთ რუსეთის საბჭოთა მთავრობას, რომ ვინაიდან მან თეატრების მომარაგება თავზე აიღო, სკოლების მოწყობას უარყოფს ან და კიდევ სასკოლო საქმე მტკიცე ნიადაგზე სდგას და სკოლის შენობები სრულიად შეკეთებულია? ამისათვის საჭიროა მოსკოვის გაზეთები გადავათვალიეროთ, რომ დავრწმუნდეთ რუსეთის სასკოლო საქმის მოუწყობლობაში.

რუსეთში განათლების კომისარიატის გარდა მთელი მოსახლეობა ადგილობრივ ჩაბმულია სასკოლო საქმის გაუმჯობესებაში, თორემ გაპარტახებული მეურნეობის დროს ვერც მთავრობა და ვერც სახალხო განათლების კომისარიატი ვერ გაუძღვებოდნენ საბჭოთა სკოლის აღმშენებლობას ისე, რომ ის საკეთილდღეო პირობებში ჩააყენონ. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი გაზეთები ადგილობრივ მასებს მოუწოდებდენ მეტი ენერგია და ინტენსიური შრომა გამოიჩინონ სკოლის შენობათა შეკეთება-აშენებაში.

თქვენ აღნიშნავთ, რომ ბალეტზე და ოპერაზე იხარჯება მრავალი ფული და სკოლებს კი ყურადღებას არ აქცევენ.

ბალეტი და ოპერა თუ არსებობს და არის, ეს იმიტომ, რომ, ვიმეორებ, საბჭოთა სისტემას მათი არსებობა არ უარუყვია და სანამ ახალი შეიქმნებოდეს, მანამ ძველით ისტორიული ოპერებით ვსარგებლობთ, და თუ თქვენ იქნებით ასეთი ნებისყოფის ადამიანი, რომ „კარმენის“, „ურიის ქალის“, „ღალატის“ და „ევგენი ონეგინის“ მაგიერ რევოლიუციონურ ხასიათის ახალ ოპერებს მოგვაწოდებთ, მაშინ ისინი, რასაკვირველია, უარყოფილი იქნებიან. მაგრამ სანამდე ახალი არ შექმნილა, არ მიგვიცია საზრდო და მასალა საოპერო თეატრების არსებობისათვის, მანამდე თქვენი ფიქრით საჭიროა მათი მოსპობა?

ავიღოთ დღევანდელი ჩვენი ოპერები, უმთავრესად სიუჟეტები დღევანდელ ოპერების აღებულია ძველი ცხოვრებიდან, მიუხედავათ ამისა ეს ოპერები საჭიროა იმდენად, რამდენად ისინი დამახასიათებელია ძველი კულტურის და ჩვენი ზნე-ჩვეულების. ასეთ ხასიათის ოპერებს მასიური მოვლენა აქვთ თვით რუსეთშიაც, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო და კერძოთ ჩვენი კომისარიატი, არ ფიქრობდეს მომავალში ოპერისა და ბალეტის სკოლის გადაკეთებას, შეცვლას ახალი მუსიკითა და შინაარსით. ოპერასა და ბალეტზე ტყუილათ სტკივა ამხ. პ. ს—ძეს გული, ვითომ კომისარიატის თანხები, მასწავლებელთა ჯამაგირები ოპერაზე და ბალეტზე იხარჯებოდეს, ამას ჩვენი თანხიდან არავითარი ხარჯი არა აქვს, არამედ საოპერო თეატრის ხარჯების დასაფარავად **მხოლოდ ამიერ-კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტი იძლევა სპეციალურ თანხას.** (კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო). ასეთივეა ბალეტის მდგომარეობაც, საბალეტო ტრუპა სპეციალურად არ არსებობს **და არც ინახავს მას სახალხო განათლების კომისარიატი.** ასე, რომ გამოსვლა და თქმა იმისა, **ვითომ განათლების კომისარიატი მასწავლებელთა ჯამაგირების თანხიდან უნიადაგო და უსაფუძვლო საქმეებში ხარჯავდეს ფულს, ეს იქნება თავის მოტყუება და თვით ხალხის შეცდომაში შეყვანა.** ან-და კიდევ იდგმება ვითომ ისეთი ოპერები, რომელიც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და ფული კი ბევრი გადისო. ეს არ შეეფერება სინამდვილეს და არც შეიძლება განზე ან კულისებში ნათქვამს დაუჯეროთ მაშინ, როცა ოფიციალური საბუთები ხელთა გვაქვს. განა თქმა იმისა, რომ „ლეილაზე“ განათლების კომისარიატის მიერ ფული დაიხარჯა, შეეფერება სიმართლეს. **მე ვამტკიცებ და ვაცხადებ, რომ „ლეილაზე“ სახალხო განათლების კომისარიატის მიერ კაპიკიც არ დახარჯულა.** მართალია, „ლეილა“ არ არის საბჭოთა სისტემის ოპერა, მაგრამ ისტორიულ თვალსაზრისით ამ ოპერას და თვით მუსიკასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში როგორც თვით ეს ზემოაღნიშნული მნიშვნელობები, ისე ავტორის წახალისება, რომლის კალამს მოჰყვება ბევრი რამ ახალი რეალური და რევოლიუციონური.

„ლეილაში“ უნდა იცოდეთ, ამხანაგო, რომ ჩვენ დავინახეთ ძველი ისტორიული პირები, რომლის უარყოფა საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია და ვერც უარყოფს: მეორე მთავარი ის, რომელზედაც თქვენ გაგონილი გექნებათ და შეიძლება არ იცოდეთ, ეს ოპერიდან ზოგიერთი ადგილების ამოღება, მაგალითად, მესამე მოქმედებაში ამოღებულია ბევრი რამ, აგრეთვე მოხსნილია ოპერაში სრულიად აპოთეოზი, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა მსმენელებზე და თვით მუშათა და გლეხთა მასებზე.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის არსებობის ხანაში მიდის ისეთი ოპერა, როგორიც „ჟიზნ ზა ცარია“ ივანე სუსანინის სახელით, მაგრამ, რასაკვირველია, ტექსტის შეცვლით, სადაც უმთავრესი ყურადღება ძველ ისტორიულ პირებს აქვს მიქცეული.

ასეთ ოპერებს როგორც „ლეილაა“ ისეთი ისტორიული ხასიათი აქვს, როგორც „ღალატს“, მაგრამ თუ ჯერჯერობით საქართველოს შოვინისტები ასეთი ოპერებით სარგებლობენ პროტესტისა და დემონსტრაციის მოსაწყობათ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ესენი უნდა უარყოს, ან და ამავე ხელისუფლებამ მოსპოს ასეთი ოპერების დადგმა-დაწერა, როგორც ისტორიულის, რომელთაც მომავალში ინტერნაციონალის გამარჯვების დროს სახელმწიფოს ყოველი წევრი გულ-დასმით და წარსულის თვალსაზრისით მოუსმენს.

ასე, რომ მუსიკამ და ოპერამ სანამ ჯერ ახალი არ მოგვცა, მისი პირის ბრუნვა შეუძლებელია და ის მუდამ ისტორიულ მასალად და ხალხის ცნობათ დარჩება და განმეორდება კიდეც.

როგორც ისტორიული ნივთიერი განძეულობა არ კარგავს თავის მნიშვნელობას ყოველსა და ყველგან, ისე მწერლობითი განძიც არ დაკარგავს თავის ღირებულებას და მნიშვნელობას, მით უმეტეს საბჭოთა ხელისუფლების დროს, საცა ყოველი წარსული სკოლაა მომავალ ახალთაობის.

იმ გზით სვლა, რომელზედაც თქვენ მიმითითებთ ხელოვნების დარგში, საბჭოთა ხელისუფლების პრინციპს შეუძლებლად მიაჩნია და არას დროს ხელმძღვანელები მაგ სკოლას ვერ დაექვემდებარებით.

რათ მოითბეთ ხელი და წაატეხეთ კალმის წვერი, ამხ. პ. ს—ძე, „მოძღვარს.“

ნუ თუ ეს დასაშვებია. სანამ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს არ უნახავს ეკრანზე „მოძღვარი,“ თავიანთი აზრი არ გამოუთქვამთ, მანამ საცდელ სურათს ფარდა ახადოთ და ისე გააკრიტიკოთ.?

„მოძღვარი“, ეს მთიელთა ცხოვრებიდან ამოღებული სურათი, შეიძლებოდა დაგვეწუნა, მაგრამ ეს დაწუნება უნდა მომხდარიყო იმავე ვიწრო წრეში, რომლისთვისაც სპეციალურად პირველად ეს დაიდგა.

მაგრამ სანამ ამას ვიზამდით, სანამ პასუხისმგებელი ამხანაგები თავის აზრს გამოსთქვამდა ამის შესახებ და **სამღვდელოების სიცრუეს მუშათა კლასს უფრო ხადად დაუმტკიცებდენ,** მანამდი თქვენ ყველაფერი თქვით, გაკიცხეთ, დაგმეთ „მოძღვარი“ მაშინ, როცა მუშამ და გლეხმა ამის შესახებ არა იცის რა.

სურათი „მოძღვარი“ ჯერ მოთავებული არ არის, ის ფართოთ ლენტზე გადაღებული და ნაჩვენები არ არის და თქვენ კი კრიტიკით გამოდიხართ.

შეცდომა, მე ვამბობ, ისედაც თქვენდა თავშეუწუხებლად გამოსწორდებოდა. ამიტომ, ამხ. პ. ს—ძე, სანამ კომისარიატის მუშაობას სცენარიის მხრივ გააკრიტიკებდით, ყურადღება უნდა მიგექციათ ან გაგხსენებოდათ „არსენ ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“ და 16 სხვ.

თქვენ ჩვენი კინო-სექციის მუშაობას საერთოდ უარყოფითად უყურებთ, მაგრამ ან გავიწყდებათ, ან და არ იცით, რომ **ჩვენი კინო-წარმოება არამც თუ საქართველოში, მთელ რუსეთშიაც პირველ ხარისხოვან ფილმათაა ცნობილი,** რასაც ამტკიცებს მოსკოვის გაზეთები („უწყებები“ 20 თებერვლიდან 1923 წლის № 38 (1775).) ზემო-აღნიშნულ სურათებს საჭიროა დაემატოს კიდევ ბევრი რევოლიუციონური და მათ შორის ახლო მომავალში ეკრანზე საჩვენებელი სურათი **წითელ არმიის ცხოვრებიდან „კრასნაია დიავოლიატა“,** მახნოს და ბუდიონის მოღვაწეობიდან, საცა დასურათებულია მთელი წითელ არმიის სამხედრო ტეხნიკა და მათი მოქმედება.

ასე, რომ თქმა იმისა, ვითომ ჩვენი კინო-წარმოება რაღაც უსაფუძველო მიზნებს ემსახურებოდეს, დაუშვებელია.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რ „მოძღვარზე“ კომისარიატის თან დან ერთი გროშიც არ დახარჯუ არამედ „მოძღვარის“ ხარჯები ნ სრი იყო განსაკუთრებულ თანხი რომელიც კინო-სექციის განკარ ლებაშია.

ამხ. პ. ს—ძე, თქვენც დაესწარ აღმასრულებელ კომიტეტის სე სხდომას, საცა მოსმენილი იყო მ სენება განათლების კომისარია მოქმედების შესახებ და მოწონებ იქნა. აი იქ იყო ადგილი, სა თქვენ შეგეძლოთ გამოსვლა და მოაშკარავება განათლების კო რიატის მიერ ამ უსაბუთო ხარჯე გაწევის შესახებ, რომელიც თ წერილებში აღნიშნეთ, მაგრამ მ დან თქვენ ეს არ ჩაიდინეთ, მე წმუნებული ვარ სესიის სხვ რებთან ერთად განათლების კ რის მოხსენება დამაკმაყოფილე იცანით.

ან და კიდევ თქვენ რომ განათ ბის მუშაკთა გასულ ორ ყრი ბის ანგარიშებს გაცნობოდით, დარწმუნებული ვარ, არ დაუშვ ისეთ შეცდომებს, რომლებიც ლობების არც ერთ წევრს არ ნიშნავს.

მე კიდევ ვიმეორებ, თუ უზენაეს ორგანომ ვერ აღნიშნ ვერ პოვა ასეთი უნიადაგო დება განათლების კომისარიატის ღვაწეობაში, თქვენ რომელ წყა ბით იკვებებით, ან ვინ გა ასეთ ინფორმაციას.

მე კიდევ ვიმეორებ, რომ და თებული კრიტიკა ჩვენ არ შე ნებს. ყოველი კომუნისტი ვალ ლია ასეთი კრიტიკით გაგვი ძლდეს, მაგრამ უსაბუთო კრი კომუნისტს თვით საქმე არ აპ

მეტი ყურადღება და დაახ ბა განათლების და ხელოვნებ ქმესთან, თუ გინდათ რომ თ კრიტიკა უფრო დასაფა იყოს.

განათლების სახალხო კომისარ

კანდელაკი.

მბრივი მუშათა კოოპერატივი, კოო- რატივი „მესხეთი“ და სხვა და სხვა მების პირველადი კოოპერატივები რთდებიან ერთ ორგანიზაციაში, მელიც, ამ რიგად, დღეიდან წა- ძღვება მაზრაში ყოველგვარ კოო- რატიულ საქმეებს, ხელმძღვანელო- ს გაუწევს პირველად კოოპერატი- ბს და დაარსებს კოოპერატი- ბს იმ თემებსა და სოფლებში, სა- ც ეს კოოპერატივები არ იყო. რებაზე არჩეულია 4 წევრისაგან მდგარი გამგეობა, რომელიც ენერ- ულად შეუდგა მუშაობას და მოკ- ხნის განმავლობაში მნიშვნელოვ- დ გაიზარდა ერთიანი მომხმარებე- ლი საზოგადოების წევრთა რიცხვი. ნზრახულია 9 პირველადი კოოპე- ატივის გახსნა. ზოგიერთ თემებში არიან 100--500 წევრი. წევ- რობა ნებაყოფლობითია. საწევრო დასახადი უდრის 55 კაპ. ოქრო- . ამასთანავე ამ პაის შეტანა შეიძ- ება ნატურით. ახალი გამგეობის მაში შედის მომხმარებელ საზო- დოების მოქმედების გაფართოება გლეხებისათვის პირველ მოთხოვ- ლების საგნების მიწოდება და აგ- რეთვე სასოფლო-მეურნეობის პრო- დუქტების ცენტრალურ ბაზარზე გა- ღება.

აჭარა.

ხურხათ-ხანოვაგე. აჭარისტანის სო- ალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ალხო სასურსათო კომისარიატმა ილო ცენტრის მიერ მიცემული ყუ- ნის ხორბალი, ფქვილი, ლობიო და ბინდი. 4 მარტიდან ამ პროდუქტე- ს ნაწილი განაღდებულ იქნება სა- თველოს სახალხო სასურსათო კო- არიატის აჭარისტანში რწმუნებუ- მიერ საჯარო ვაჭრობის გზით.

აჭარისტანის ნავთსადგურებში. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ მიმართა ნავთსადგურების მინისტრაციის განკარგულებით არ უშვან ნავთსადგურებში ანატოლი- დან მომავალი გემები, რომელთაც ექნებათ რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭ- რობის სახალხო კომისარიატის გან- ყოფილების ვიზა. სახალხო კომი- სართა საბჭოს მიერ 25 თებერვლიდან აკრძალულია კონსტანტინოპოლიდან ვალ გემების და მგზავრების აჭა- სტანის ნავთსადგურებში მიღება, მათ არ ექნებათ კონსტანტინოპოლ- მყოფ საბჭოთა წარმომადგენლო- ბის ვიზა.

ბათუმი

ნავთის გაგზავნა. აზერბეიჯანის ნავთის წარმოების კანტორამ 27 თე- ბერვალს გაგზავნა ანატოლიაში გე- მით „აი-პეტრი“ 35.000 ფუთი ნავ- თი. აღსანიშნავია, რომ 35000 ფუთ ნავთის დატვირთვა აზერბეიჯანის ნავთის წარმოების კანტორამ მოა- ხდინა საკუთარი საშუალებით 17 სა- ათის განმავლობაში ე. ი. 2.000 ფუ- თი ბიდონი საათში.

აზერბეიჯანი

ნაგ სერებროვსკის მოხსენება

ბაქო. 28 თებერვ. სამთომადნო მუ- შების კონფერენციაზე მოსმენილი ამხ. სერებროვსკის მოხსენება. ვალში გაბურღვილია 1,577 საჟ., ვლის 23 დღეში—1,500 და ლოდნელია, რომ თებერვლის ყვე- 28 დღის განმავლობაში გაბურღ- იქნება 1,800 საჟ. სულ 139 ღველი მუშაობს.

ღდი შედეგებია მოსალოდნელი ში, ივნისში და ივლისში. თებე- ის 20 დღის განმავლობაში ამო- ულია 11.500.000 ფუთი ნავთი, დღის განმავლობაში მოსალოდნე- 15—16 მილიონის ამოღება. ური ამოღების ნორმა—570.000 უდრის. ორი დღის განმავლო- ბიბი-ეიბატის და კუნძულ სვია- ზე ყოველ დღიური ამოღება 600 ის აღწევს.

ისში დამუშავებული იქნება ბიბი- ტის ახალი ნახვრეტები. აგვის- დან თებერვლამდე გადმოსხმულია მილიონი ფუთი ნავთი. ნავთის ება ფართოვდება 25 მილიონ მდე თვეში. ეკონომიის მოსაზ- ით, ავტოტრანსპორტის მაგიერ თოვდება ვიწრო ლიანდაგიანი ის გზა. იხსნება ცენტრალური ნოვოროდის საწყობი განყოფილე- ბალახანაში, სურახანსა, რომანსა ბიბი-ეიბათში. თვიური გადმოსხმა ,000,000 ფუთს უდრის, საჭიროა -25 მილიონის გადმოსხმა. აუცი- ლათ საჭიროა ცენტრალიზაცია ქარხნებზე ცენტრალურ საქონ- სამმართველოს დაწესება ნაწარ- ის განაწილების მიზნით, ქარხ- ცალკე ოთხი ჯგუფი ტეხ- მუშაობას გაატარებენ. ეკო- მიზნით ჩვენ ელექტ- ენერგიაზე გადავდივართ. ბა ახალი ქვაბები. ამ ქა- 43.000 მუშა ირიცხება, ნაციო- ზაციის დასაწყის ი კი 17.000 იყო. სარეწაოზე 22.000 მუშა მუშაობს, ერთი წლის შემდეგ კი საჭირო გახდება 28.000 მუშა, ბურღვას აწარმოებენ 4500 მუშა, დაგვჭირდება კი 8.000.

წრეულს დასრულებულია 26 დიდი სახლის შენება და შეკეთებულია——300—400 ერთეული. საჭიროა ახალი სახლების აგება და ამ საქმის მოგვარებას უკვე შევუდექით: შავს ქალაქში საფუძველი ეყრება პირველ სახლს. სექტემბერში დასრულებული იქნება 60 ბინა და საავადმყოფო. სახალხო განათლების და დაზღვევის ხარჯები მთელი ხელფასის 30 პროცენტს მოითხოვს.

მთელი ამ საქმის სათავეში იქმნება სანავთო ტრესტი, დამტკიცებული მოსკოვში 27 იანვარს. საჭიროა ტეხნიკურ მომარაგების რეორგანიზაცია, საქარხნო დაწესებულებათა ცენტრალიზაცია, ნავთის გადმომსხმელი ერთი კანტორის და ბურღვის ცალკე კანტორების ორგანიზაცია, ა'ეთივე რეორგანიზაცია ხდება დამხმარე დაწესებულებებში. ამნაირად შესდგება ტრესტი, რამოდენიმე ჯგუფათ და წარმოებათ დაყოფილი, სასტიკი აღრიცხვაზე დაფუძნებული: მიუხედავათ ხარჯებისა ხელფასი შემცირებული არ იქნება.

ბაქო. 1 მარტი. ბამბის კამპანია. მიმდინარე წლისთვის განზრახულია 15,000 დესიატინა მიწაზე ბამბის დათესვა, რისთვისაც საჭირო იქნება 65,000 ფ. თესლის შეძენა აზერბეიჯანის ბამბის კომიტეტს აქვს სულ 21,000 ფუთი, დანარჩენი გამოწერილია თურქესტანიდან, მაგრამ მისი მიღება ფერხდება. ნათესებს ემუქრება კალია. გაძლიერებული ტემპით სწარმოებს მუღანის ლევინოს მამულის დახვნა. მუშაობს 41 ტრაქტორი. შემოვიდა მრავალი განცხადებები სასოფლო საზოგადოებებისა და კერძო მწარმოებლებიდან, რომელთაც სურთ ხელი მიჰყონ მებამბეობას. შეუდგენ მთავარი მაგისტრალური შტოს გაწმენდას.

მოსავლიანობა. მოსავალს კარგი პირი უჩანს. წყალის თავის დროზე მიწოდების შემთხვევაში უნდა ველოდეთ კარგს მოსავალს, ზოგიერთ ადგილებში გამრავლდენ მინდვრის თაგვები. მათთან საბრძოლველად გაიგზავნა ინსტრუქტორები. მაზრების მცხოვრებლები ემზადებიან თესვის კამპანიისთვის და განსაკუთრებულ ინტერესს აქცევენ მებამბეობას. დიდი მოთხოვნილებაა აბრეშუმის თესლზე მებამბეობის განვითარებასთან დაკავშირებით. მებოსტნეობის დარგში არის მოთხოვნილება სათეს მასალებზე. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს არ მოეპოვება საკმაო საშუალებები, რაც ხელს უშლის ბოსტნეულობის თესლის საკმაო რაოდენობით შეძენას.

სომხეთი

კოოპერაციის განვითარება.

კოოპერაციის გაძლიერების მიზნით, სომხეთში შესდგა კოოპერატიული საბჭო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლუკაშინის თავმჯდომარეობით. საბჭომ დაადგინა მოიწვიოს 30 აპრილისათვის სრულიათ სომხეთის კოოპერატიული ყრილობა. დელეგატები ყრილობაზე გაიგზავნებიან სასოფლო კოოპერატივების მიერ შემდეგის ანგარიშით: ყოველ 100 წევრზე თითო დელეგატი. ვინაიდან სომხეთის კოოპერატივების ფინანსიური რესურსები მცირეა, საბჭომ დაადგინა ნივთიერი სახსარის გასაჩენათ გააძლიეროს კოოპერატიული საქმე. ამ მიზნით საბჭო იწყებს 15 მარტიდან კოოპერატიული კამპანიას, რისთვისაც უკვე შექმნილია სპეციალური კომისია ამხ. შახსუვარიანის თავმჯდომარეობით. სომხეთის კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ დაადგინა დახუროს სოხუმისა და ბათომის განყოფილებები და შეამციროს 40 პროცენტით თანამშრომელთა რიცხვი ერევანში.

ელექტროფიკაცია. 22 თებერვლიდან ალექსანდროპოლის ციხეში მოწყობილია ელექტრონის განათება. დაყენებულია სპეციალური მოტორი.

სიმშილობა. ალექსანდროპოლის მაზრის 3 რაიონში დამშეულთა რიცხვი 17.000 კაცს აღწევს. სამ რაიონში აღრიცხულია სიმშილისგან სიკვდილის 21 შემთხვევა. აღნიშნულია სიმშილისაგან სიკვდილის რამოდენიმე შემთხვევა აგრეთვე კოტაიკსკის რაიონშიაც.

აღმშენებლობა სომხეთში. კოტაისკის რაიონში თებერვლის განმავლობაში გაძლიერებული აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებდა. არამუსში წყალსადენის აგება სწარმოებს. სხვა სოფლები გზების გაყვანას და არხების გაწმენდას შეუდგენ. მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს აღმასკომის წინაშე ცენტრთან ტელეფონით დაკავშირების შესახებ. ტელეფონის გაყვანის ხარჯებს მცხოვრებლები თავის თავზე იღებენ.

ამიერკავკასიის ეკონომიური თათბირი

შინ 1 მარტს საღამოს 6 საათ- ამხ. მიასნიკოვის თავმჯდომარეო- გაიხსნა ამიერ-კავკასიის ეკონო- თათბირი. თათბირში მონაწი- ილებენ 63 დელეგატი გა- ტი ხმის უფლებით და 72 ტი სათათბიროთი. პირველ- ან სახალხო კომისარიატების, ფო და სამეურნეო ორგანო- წარმომადგენლები, მეორენი— ლისტები, კონსულტანტები და თათბირის პლენუმი ირჩევს სექ- პრეზიდიუმებს შემდეგი შემად- ობით: სასოფლო სამეურნეო ში: ამხ. კანდელაკი (საქართ- მიწათ მოქმედების სახ. კომი- მოადგილე), ეფენდიევი და ერზიკიანი (სომხეთის მიწათ-მოქმედების სახ. კომისარი), სამრეწველო-სატრანსპორტოში —ამხ. ივაკოვი, (საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე), ბალიატი (სომხეთის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე) სულთანოვი (აზერბეიჯანის სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს წარმომადგენელი), ლევაშევი (ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი), სავაჭრო სექციაში: ამხ. ივანიანი (საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარი), გაჯინსკი (საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილე), ერქომაიშვილი (საქართველოს სასურსათო სახ. კომისარი) და პადერინი (ამიერ-კავკასიის კოოპ. კავშირი).

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ორახელაშვილმა.

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა.

ძვირფასო ამხანაგებო და პატივცემულო მოქალაქენო! ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მივესალმები თათბირს, ამ პირველ აუცილებელ ეტაპს იმ გზაზე, რომელიც სულ ახლო მომავალში უნდა გაიაროს ჩვენმა ახალგაზრდა რესპუბლიკამ. დადგა დრო, როდესაც ჩვენ საფუძლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი ეკონომიკის საკითხებს, ე. ი. იმ საკითხებს, რომელიც არის ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი. ყველა პოლიტიკური წინასწარ მოსაზრებანი ჩვენ უკვე გვაქვს. ამიერ-კავკასიის გაერთიანებული რესპუბლიკები ამ ჟამად გაერთიანებული არიან ერთ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში. ყველა ჩვენი რესპუბლიკების სახელმწიფო მექანიზმები შეთანხმებელი არიან საერთო მუშაობისათვის. დღეს გადალახულია ნაციონალურ შუღლის——შოვინიზმის ნაშთები და ჩვენ შეგვიძლია ეხლა შეთანხმებულად და სოლიდარულად ვიმუშაოთ ამ ჯანსაღ პოლიტიკურ ატმოსფეროში და შეუდგეთ ჩვენი მეურნეობის აღდგენას. ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო——გლეხთა ქვეყანაა. სასოფლო მეურნეობისათვის ყოველგვარი დახმარების საკითხი უდავოა. ჩვენი მომავალი მრეწველობის საკითხი კი შეიძლება გავხადოთ დისკუსიების საგნად: ცარიზმი ხელოვნურად ახმობდა ადგილობრივ მრეწველობას, ეხლა მისი განვითარებისათვის დაბრკოლებანი და საზღვრები აღარ არსებობს. მაგრამ როგორი უნდა იყოს ჩვენი გეზი?—შემოვიღოთ მრეწველობის ყველა დარგები თუ დავემყაროთ შრომის განაწილებაზე, რომელიც არსებობს ამ დარგში საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და განვავითაროთ ის დარგები, რომელიც ჩვენში მოიპოვება.

ვაჭრობის და გაცვლა-გამოცვლის საკითხები აგრეთვე უნდა გახდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგნად. ეს ის დარგია, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს დასავლეთის ქვეყნებთან, სადაც საუკუნოებრივი გამოცდილება არსებობს: ჩვენ მხოლოდ უნდა ვისწავლოთ წაბორძიკება, დაცემა და ამავე დროს ფეხებზე წამოდგომაც, აი სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის და მასთან დაკავშირებულ ვაჭრობის მთავარი საკითხები, რომელიც ჩვენი თათბირის დღის წესრიგში უნდა იქნას დასმული. შესაძლოა, რომ ჩვენ ამ საკითხებში მოვისმენთ სხვა და სხვა აზრებს, მაგრამ მე მთავრობის სახელით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ მოველით ამ ყრილობიდან საკითხებისადმი ისეთნაირად მიდგომას, რომლის დროსაც აზრი, სიტყვა და საქმე ერთმანეთთან უნდა იყონ დაკავშირებული არა მარტო ლოღიკურად, არამედ პრაქტიკულადაც. აქ არ უნდა ითქვას არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არ უნდა იყოს საკითხისადმი თეორიულად მიდგომა, საკითხი უნდა განვიხილოთ უმთავრესად საქმიანობის მხრივ. მე ვფიქრობ, რომ ამ თათბირმა ჩვენ უნდა მოგვცეს პატარა ფოტოგრაფიული სურათი იმისა, რაც ჩვენა გვაქვს, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, რენტგენის სხივებით გააშუქოს ჩვენი მოქმედი და პროცენტალურ მეურნეობის ყველა მხარეები, რათა სისწორით განვსაზღვროთ პერსპექტივები და შესაძლებლობანი. მე ვისურვებ, რათა თათბირმა გადასწყვიტოს ეს ამოცანა და რათა ამ თათბირის შრომა დარჩეს არა სტენოგრაფულ ანგარიშების შეკინძულ ტომების სახით, არამედ გადაიქცეს ცოცხალ საქმედ.

ვუსურვებ თათბირს წარმატებას და მთავრობის სახელით, ვაცხადებ, რომ თათბირის რეზოლიუციები, რამდენადაც ეს მთავრობისაგან იქნება დამოკიდებული, არ დარჩებიან რეზოლიუციებათ და მთავრობა ყოველ ძალ-ღონეს იხმარს იმისთვის, რათა გამოიყენოს იგი ბერკეტად ამიერ-კავკასიის სამეურნეო აღმშენებლობისთვის. (ტაში).

გრიგორიანის მოხსენება.

ამის შემდეგ ამხ. გრიგორიანმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ამიერ-კავკასიის ეკონომიკის მიმოხილვა და მისი პერსპექტივები“.

2 მარტს დაიწყო მუშაობა სექციებში.

პარტიული ცხოვრება

მუშა-ქალის საერთაშორისო დღის კამპანიის ჩასატარებლად 8 მარტს.

საქართ.-კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება

იწვევს და ამაგრებს რაიონებში შემდეგ ამხანაგებს

I **რაიონი**—ადამიძე, ბიბინეიშვილი და ლოსევი.

II **რაიონი**—ზილბერშაც, დალნაია, ალექსანდროვა, ერქომაიშვილი:

III **რაიონი**—ზავარიანი, ესაიანი, ლიადოვსკაია, შიოზნიანსკაია, გინსბურგი.

IV **რაიონი**—გოლუბევა, მახარაძე და დრაპკინა.

ყველა ამხანაგებმა ინსტრუქციების მისაღებათ უნდა მიმართონ რაიონებს.

საქ. კომპ. ტფილისის კომიტეტ. საგიტ.—საპროპ. განყოფილება.

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებიც იღებენ ჯამაგირს პასუხისმგებელ მუშაკების ტარიფით მე-17 ხარისხის ერთ-ნახევარ განაკვეთის ზევით, სამი დღის ვადაში შეიტანონ თბ. კომიტეტის ურთიერთ დახმარების კასსაში ჯამაგირის ზედმეტი ნაწილი დეკემბრის და იანერის თვეებისა.

ტ. კ. მდივანი: **რუბენი.**

ს. კ. კ. ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

შაბათს, 3 მარტს დღის 1 საათზე იწვევს რაიკომების სააგიტაციო განყოფილების გამგეობის თათბირს.

დღის წესრიგი:

1. რაიკომების სააგიტაციო განყოფილებების გამგეობის ანგარიში.
2. მიმდინარე საქმეები.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

---

10 მარტს, 1923 წ. მოწვეულია

შორაპნის სამაზრო პარტ-კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.
2) სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3) ახალგაზრდათა კომკავშირის სამაზრო კომიტეტის ანგარიში.
4) სამაზრო აღმასკომის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ.
5) მოხსენება რაიონებიდან.
6) მიწის საკითხი.
7) ორგანიზაციული საკითხი.
8) მიმდინარე საკითხები.
9) არჩევნები: სამპარტკომის, სარევიზიო კომისიის და საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობის დელეგატების.

პ | მ. მდივანი: **ქავთარაძე.**

შორაპნის მაზრა.

14 თებერვალს სამპარტკომის ხელმძღვანელობით შესდგა სად. შორაპნის მუშათა კლუბში ადგილობრივ კომუჯრედების წევრთა და რკინის გზელთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 350 მუშა-მოსამსახურე. დღის წესრიგში პირველ საკითხად დასმული იყო მოხსენება მიმდინარე მომენტზე. მოხსენება გააკეთა შორაპნის სამაზრო პარტკომის მდივანმა ამხ. ა. ქავთარაძემ; მან ვრცლად გააშუქა ერთის მხრივ ყოფილი ბურჟუაზიული მთავრობების და მეორეს მხრივ საბჭოთა ხელისუფლების შემაკავშირებელი პოლიტიკა, რომელსაც აღფრთოვანებით ხვდება ამიერ-კავკასიი'ს მშრომელნი. კრება დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამხანაგის მოხსენებას, რომლის შემდეგ იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუციები:

1) მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ქავთარაძის საერთაშორისო მდგომარეობაზე და გერმანიაში უკანასკნელად მომხდარ ამბების შესახებ, იმედს გამოვსთქვამთ რომ გერმანიის პროლეტარიატი საფრანგეთის და მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს პუანკარეს და მის მოკავშირე ბურჟუაზიულ მთავრობებს. ჩვენ კი შორაპნის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება ზიზღს უცხადებთ მენშევიკებს და სხვა და სხვა ცრუ სოციალისტებს, რომლებიც მუდამ ჰყიდდენ და დღესაც ჰყიდიან გერმანიის და მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესებს.

ძირს პუანკარეს მთავრობა და მათი პოლიტიკა.

ძირს მენშევიკები ბურჟუაზიის ლაქიები.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

ზიზღი მათ მკვლელებს—ბანდიტ-მენშევიკებს.

გავიგეთ რა ძვირფასი ამხ. ამხ. საშა ობოლაძის და მასთან ერთად **სანიკიძის და ჩუბინიძის** ვერაგულად მოკვლა მენშევიკების მიერ მოწყობილ თეთრი ტერორით შესრულებული კი ყეჩაღების ხელით შორაპნის კომუნისტების და რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი აღშფოთებულნი ასეთი საზიზღარი აქტით, რომელიც მიმართულის მუშების, გლეხების და საზოგადოთ მშრომელთა წინააღმდეგ, ზიზღს უცხადებთ მენშევიკებს და მათ მოკავშირე ყაჩაღ-ავაზაკებს. თეთრ ტერორზე პასუხის გაცემას კი ვანდობთ საქართველოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, სრული დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტური პარტია აქაც პირნათლად შეასრულებს და გაამართლებს მუშების დავალებებს.

ძირს რელიგია—გაუმარჯოს მეცნიერებას.

ამავე კრებამ მოისმინა რა ამხ. ძაძამიას მოხსენება რელიგიის შესახებ, დაადგინა:

შორაპნის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა და კომუჯრედების წევრთა გაერთიანებული კრება ზიზღს უცხადებს დახავსებულ და გონების დამაჩლუნგებელ რელიგიას და მომავალში მის ნაცვლად წინ აყენებს მეცნიერებას, მშრომელი მასსების სწავლა-განვითარების, მათ კლასობრივად გათვითცნობიერების საქმეს.

ძირს რელიგიური ცრუ მორწმუნეობა.

გაუმარჯოს მეცნიერებას.

დახმარება წითელ ფლოტს.

ზემოხსენებულმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება წითელი ფლოტის შესახებ დაადგინა შემდეგი:

მოვისმინეთ რა მოხსენება სამპარტკომის რწმუნებული ამხ. კიკნაძის წითელი ფლოტის შესახებ, ჩვენ კომუნისტები და შორაპნის რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი სიხარულით ვეგებებით მონობის უღლისაგან მშრომელთა განმანთავისუფლებელ წითელ ფლოტის აღორძინების საქმეს და ფიცსა ვსდებთ ყოველმხრივი დახმარება გაუწიოთ მას. **ერთდროულ დახმარების სახით შეგვაქვს ჩვენი წვლილი თვითეულს არა ნაკლებ ორმოცდა ათი ათასი (50.000) მანეთისა.**

გაუმარჯოს „წითელ ფლოტს“.

გაუმარჯოს მის შეფს ახალგაზრდათა კომ-კავშირს.

ინფ. კორ. „ფხიზელი“.

25 თებერვლის დღესასწაული პროვინციაში

გორი

ამხ. მიხა ცხაკაიას.

(დეპეშა)

გორის მაზრის და ქალაქის მუშურ-გლეხური მილიცია მოგესალმებათ და გილოცავთ საქართველოს მშრომელების განთავისუფლების ორი წლის თავს. ფიცსა ვსდებთ თქვენს წინაშე უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ მუშურ-გლეხური ინტერესები.

გორმაზმილიციის უფროსი **ჟორჟოლიანი.**

—

ბორჯომი.

23, 24, 25—ყველა დაწესებულებანი, ქარხნები, ძეგლები, ხიდეები, სადგურები, მთელი ქალაქი საუცხოვოთ და საზეიმოთ მორთულია.

25 თებერვალს ბუნებაც კი ზეიმობს. ხალხი თანდათან იკრიბება.

ქალაქში გამოდიან წვევამდელნი, მოდის მუშების დემონსტრაცია (ჩარხის-წყლიდან) დროშებით და სიმღერით: „და მედგრათ წავალთ ბრძოლაში საბჭოთა მთავრობისათვის“.

დემონსტრაცია ზემით („25 თებერვლის“ ქუჩიდან) მიემართება „ოქტომბრის რევოლიუციის ბაღი“-საკენ; საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობის დღეს დადგმულ ძეგლთან ხსნის მრავალრიცხოვან მიტინგს ამხ. დავით რუხაძე, ისმის ინტერნაციონალი. ამხ. ამბობს შესავალ სიტყვას.

ალექსანდრეს ბაღში მენშევიკების მიერ მშვიდობიან მიტინგის დახვრეტის დროს დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავათ ყველანი იხდიან ქუდებს და გუნდი მღერის სამგლოვიარო ჰიმნს.

საქართ. გასაბჭოების ორი წლის თავის შესახებ სათანადო მოხსენებას აკეთებს ამხ. ანდრო სიამაშვილი.

წითელი არმიის ხუთი წლის—შესახებ ამხ. დ. რუხაძე. საერთოთ დღესასწაულის შესახებ ილაპარაკა ამხ. ელბაქიძემ.

იხურება მიტინგი. ყველანი მიდიან „ოქტომბრის რევოლ. ბაღ“-ში, სადაც ქალაქის პროფბიუროს შენობასთან უნდა ჩაეყაროს საფუძველი თეატრის შენობას, რომლის ასაგებად შესაფერი მუშაობა დაწყებულია.

ამხ. რუხაძე, მოკლე სიტყვის შემდეგ, სიტყვას აძლევს ჟორა ფრანგიშვილს, რომელმაც აღნიშნა პროლეტარული კულტურის და თეატრალური ხელოვნების როლი... საჭიროდ სცნობს ამ თეატრის აგებაში მონაწილეობა მიიღოს საკურორტო სამმართველომაც.

ბორჯომ-ბაღიდან უფასო მატარებელი გაჭედილი ხალხით მიდის ჩარხის-წყალისაკენ, სადაც მიტინგი გახსნა ამხ. კვარცხავამ შუშის ქარხანაში; ილაპარაკა ამხ. ან. სიამაშვილმა, ელბაქიძემ, არევაძემ, იევლევმა და ავეტისოვმა...

ქარხანას დაერქვა სახელი კალინინის, რომელიც იქნება შეფი ამ ქარხნის მუშების.

შემდეგ მეორე მიტინგი იხსნება ახლათ შეკეთებულ, ყოფილ სახ. სახლში, რომელსაც დაერქვა მუშათა თეატრი. აქ ილაპარაკა ამხ. ელბაქიძემ და სერგი კიკნაძემ...

შუშის ქარხანაში გაიმართა სადილი; სადილობდა 300-დე მუშა.

საღამოს მუშ. თეატრში გაიმართა უფასო წარმოდგენა. დღით საბავშო.

აგრეთვე ქალაქის „ოქტ. რევოლ.“ კლუბში გაიმართა მრავალფეროვანი პროგრამით უფასო წარმოდგენა მოწაფეთათვის დღით. დაწყებამდი შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ჟ. ფრანგიშვილმა.

საღამოს ზემოაღნიშნულ კლუბში გაიმართა ფასიანი წარმოდგენა საფუძველ ჩაყრილ თეატრის სასარგებლოთ,—დაწყებამდი, ფრიად შინაარსიანი მოხსენება: მენშევიკების მოღალატური პოლიტიკა და საქ. გასაბ. ორი წლის თავის შესახებ, გააკეთა ამხ. ა, სიამაშვილმა.

წარმოდგენილ იქნა რევ. შინ. პიესა № 21+. წარმოდგენა ძლიერ კარგათ ჩაატარა ქართ. დრამატიულ კოლექტივმა.

ამ დღეს გაიმართა დიდი მიტინგები წაღვერში, ბაკურიანში და სხვა თემებში, სადაც დღესასწაული მშრომელი გლეხობის მიერ გრანდიოზულათ იქნა ჩატარებული.

პოლიტგანის მიერ გაიხსნა სამკითხველოები სოფ. ჰობის-ხევში, ნეძვში და თვით ბორჯომში მეორე ხამკითხველო.

პოლიტიკურ განათლების განყოფილებას გადაეცა წაღვერში ხეხილის ბაღი, რომელსაც დაერქვა „25 თებერვლის ბაღი“.

ამ დღისთვის გამოვიდა ჟურნალი „ბორჯომის ცხოვრება“.

25 თებერვლის დღესასწაულის და 11 თებერვალს უპარტიო გლეხთა კონფერენციის, მანამდი სოფლებში გლეხთა კრებების ჩატარებიდან ყველასათვის ნათელი და აშკარა ხდება: მუშები და გლეხები თავის ინტერესების ერთად-ერთ დამცველათ სთვლიან საბჭოთა მთავრობას, რომელსაც ყოველ მხრივ დაიცავენ.

ჟან—ჟანი.

—

ხაშური

ორი კვირით ადრე რაიკომის მიერ მოწვეულ იქნა კომისია ხაშურის რაიონში საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლათ. კომისიამ ადრე მიიღო ზომები, რათა აღნიშნული დღესასწაული კარგად ჩატარებულიყო. კომისიამ დღესასწაულის ჩასატარებლად რაიონი გაჰყო: სურამი, ხაშური და ხცისი.

რაიკომმა მობილიზაცია გაუკეთა პასუხისმგებელ ამხანაგებს ამ სამ თემში გასაგზავნათ და პროცესიის და მიტინგის სახელმძღვანელოდ. ჩვეულებისამებრ ხაშურში დღესასწაული ჩინებულათ ჩატარდა.

25 თებერვალს დილით მთელი ქალაქი, რკინის გზის ხიდი, სადგური, დაწესებულებები და კერძო სახლები ლამაზათ მორთული იყო მწვანეულობით, გირლიანდებით, წითელი დროშებით, ლენინის, ტროცკის, ცხაკაიას და სხვა რევოლიუციის ბელადების სურათებით. ხაშურში მდგომ რკინის გზის სადარაჯო გუნდს დაურიგდა მათთვის ადრე დამზადებული საჩუქრები. 25 თებერვალს დილა ნისლიანი იყო, მაგრამ საათის 9-მდე ნისლი გაიფანტა და დადგა მშვენიერი მზიანი ამინდი. საათის ათზე რაიკომის ბინაზე თანდათანობით თავს იყრიან მუშა-მოსამსახურეები, გლეხები კომუნისტური რაზმი საყოველთაო სამხედრო სწავლების ნაწილები, კომკავშირი და მოწაფეობა. საათის თერთმეტზე პროცესია შემდგარი დიდძალ ხალხისაგან, ვაიმართა წითელი მოედანისაკენ მუსიკით, დროშებით, პლაკატებით და რევოლიუციონური სიმღერებით. კარგი ამინდის გამო დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობდა სამ ათასამდე ქალი და კაცი. სრულ თორმეტ საათზე რაიკომის მდივანი რაიკომის სახელით მიტინგს გახსნილად აცხადებს. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბოკერიამ, რომელმაც ილაპარაკა საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის მნიშვნელობისა და ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ.

შემდეგ მიესალმა წითელ არმიას და აღნიშნა მათი ღვაწლი მუშურ და გლეხურ ძალა-უფლების გამტკიცებაში; შემდეგ ლაპარაკობენ ამხ. ბუხნიკაშვილი რკინის გზის უბნის პროფესიონალურ კავშირის სახელით ამხ. ქებაძე, ძაძანია, მაისურაძე კომკავშირის წარმომადგენელი და სხვა. მიტინგი გრძელდება ოთხი საათი.

მიტინგზე გამოტანილ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. ბოკერიას, ბუხნიკაშვილის და სხვების მოხსენებები საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის აღსანიშნავათ, ჩვენი მრავალ-რიცხოვანი მიტინგი მხურვალეთ ესალმება საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავს, და ფიცსა სდებს საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცვამ საბჭოთა ხელისუფლება, მუშურ-გლეხურ მთავრობას. სალამი ჩვენ სახელოვან წითელ არმიას, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის რევოლიუციის გამარჯვების და მუშურ-გლეხურ ხელის-უფლების განმტკიცების საქმეში. გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავს. გაუმარჯოს წითელი არმიის დაარსებას, ბრძოლის და გამარჯვების ხუთი წლის დღესასწაულს. გაუმარჯოს საბჭოთა ფედერაციაში თავმოყრილ მშრომელ მასების ერთობას, ძმობას და სოლიდარობას. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის ხელმძღვანელს მესამე კომინტერნს.

რეზოლიუციის ერთხმად მიღების შემდეგ მიტინგი იხურება. პროცესია მუსიკით მიემართება მთავარ ქუჩით და რაიკომის შენობასთან იშლება; საღამოს პარკი, დაწესებულებები, ქუჩები სხვადასხვა ფერათ იყო მორთული და განათებული. კლუბებში გამართულ იქნა რევოლიუციონური წარმოდგენები უფასოდ.

ხაშურელი მუშა.

—

სამტრედიის რაიონი

დღე საქართველოს გასაბჭოებისა, დღე მშრომელთა მასის გამარჯვებისა საქართველოს მაშტაბით სამტრედიის რაიონმა დიდებულათ იდღესასწაულა. თემებში სოხდა გრანდიოზული მიტინგები, რომლებსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ამხანაგები უმარტავდენ მათ 25 თებერვლის მნიშვნელობას, თუ რა გაკეთდა ამ ორი წლის განმავლობაში და სხვა... განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალ. სამტრედიის მიტინგი. ამოდენა ხალხი არ ახსოვს სამტრედიას. დილიდანვე ქალაქი სადღესასწაულოთ არის მორთული, წითელი დროშები ამშვენებენ შენობებს. ნაშუადღევის ორი საათია. მუშათა კლუბის ბაღში აუარებელი ხალხია თავმოყრილი. დროშებით მოდიან კომ-რაზმი, პროფკავშირი, პარტკომი და სხვა.—ტრიბუნაზე ადის ამხ. სპ. კიკაჩეიშვილი, რომელიც ვრცლად მოუთხრობს ხალხს რევოლიუციის ისტორიას, მენშევიკების ღალატს მუშათა კლასის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში და მუშურ-გლეხურ მთავრობის აღმშენებლობითი მუშაობას.

შემდეგ ილაპარაკა კომკავშირის სახელით ამხანაგმა ჩხაიძემ.

პროცესია დაიძრა პარტკომისაკენ. აქაც წარმოსთქვეს სიტყვები, რის შემდეგ მიტინგი დაიშალა.

საღამოს ორივე თეატრებში გაიმართა წარმოდგენები, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

ხან-კანი.

ეკონომიური ცხოვრება

ფასების დამწესებელი კომისიის კურსები.

ოქროს 10 მან. 5300 ათ. მ. გირვანქა სტერლ. 4000 ათ. მ. დოლარები 905 ათ. მ. ოსმალ. ქაღ. ლირა 543 ათ. მ. საბჭოთა ფულის ნიშნები--0,17.

ბირჟის საქონლის განყოფილებაში 2 მარტი.

მოთხოვნა—საპონი „ტოლლე“ 1 ხარისხის—25 ფუთი, ემალის ჭურჭელი, ნავთის მანქანა „გრეცი“, შვეიცარიის ყველი. მოწოდება—შვეიცარული ყველი,—250 ფ. ფქვილი ყუბანის—3 ვაგონი, რუსეთის მანუფაქტურა,—რუსული შაქარი ფხვნილი—3 ვაგონი. სოდა კაუსტიკური, ინგლისური--1 ვაგონი, (72) მოცვის ფურცელი--25 ფუთი. შაბიამანი--„კორონა“—იაპონური ძაძა.

გარიგება.—გაიყიდა 2 ვაგონი შაქრის ფხვნილი 5 ლირად და 90 პიასტრ. ფუთი.

საქონლის ბაზარზე

ბირჟის საქონლის განყოფილების ცნობების თანახმად, შაქრის, შაქრის ფხვნილის, პურის პროდუქტების ფასები უცვლელია. განწყობილობა მშვიდობიანია. მოთხოვნილება სავსებით იფარება მოწოდებით. 27 და 28 თებერვალს ტფილისში მოვიდა 35 ვაგონი სურსათი. აქედან 19 ვაგონი ფქვილი და ხორბალია, და 12 ვაგონი შაქრის ფხვნილი.

ს. ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმში

ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოხსენების თანახმად ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა მიიღო იუსტიციის სახ. კომისარიატის სარედაქციო შესწორებით პროექტი დეკრეტისა სამაზრო და სარაიონო საგადასახადო დაწესებულებებში თემის აღმასკომების თავმჯდომარეების შესვლის შესახებ.

პროექტი დეკრეტისა მემკვიდრეობის უფლების შესახებ.

ამხ. ვარძიელის მოხსენების თანახმად განხილულ იქნა პროექტი დეკრეტისა მემკვიდრნობის უფლების შესახებ, რომელიც გადაეცა დასკვნისათვის საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

სოციალური უზრუნველყოფა.

ამხ. მიქაძის მოხსენების თანახმად მიღებულ იქნა პროექტი დადგენილებისა საქართველოს სოციალურ დაზღვევის სახ. კომისარიატის დაარსების შესახებ. ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა სოციალური დაზღვევის სახალხო კომისარათ აირჩია ამხანაგი კონსტანტინე ხომერიკი.

პროექტი დეკრეტისა სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის დამატების შესახებ.

ამხ. ვარძიელის მოხსენების თანახმად მოწონებულ იქნა 117 მუხლის დამატება შემდეგი ცვლილებით: „ქრთამის მიცემის და შუამავლობის ნაწილში რეპრესია გაძლიერებულ იქნეს თვით დახვრეტამდე“.

შრომის დაცვის კანონის დამრღვევ პირებზე ა. წ. 25 თებერვლის ამნისტიის არ გავრცელების შესახებ.

ამხ. მიქაძის მოხსენების თანახმად ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა იუსტიციის სახ. კომისარიატს შეიმუშაოს ინსტრუქცია შრომის დაცვის კანონის დამრღვევ პირებზე ამნისტიის გავრცელების განსაზღვრის შესახებ. ეს ინსტრქცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამნისტიის ძირითად დებულებებს.

მოქალაქე დათეშიძის აგარაკის ნაციონალიზაცია საბავშვო სახლისათვის.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობის თანახმად მოქ. დათეშიძეს ჩამოერთვა აგარაკი, რომელშიაც მოთავსებული იქნება საბავშვო სახლი.

საპატიო რევოლიუციონური წითელი დროშით დასაჩუქრება.

ამხ. საბაშვილის მოხსენების თანახმად, რომელიც ეყრდნობოდა კავკასიის ცალკე არმიის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს შუამდგომლობას, კურსანტების პირველი ქართული სკოლა და ბაქოს მე 21-ე საკომანდო სკოლა დასაჩუქრებულ იქნა საპატიო რევოლიუციონური წითელი დროშით.

სიკვდილით დასჯის 10 წლით დაპატიმრებით შეცვლა.

ამხ. ვაშაძის მოხსენების თანახმად მოქ. ბიბილეიშვილს, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა გადაუწყვიტა სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა ამერიკის კომიტეტის გაცარცვისათვის, სიკვდილით დასჯა შეეცვალა 10 წლით დაპატიმრებით სასტიკი იზოლიაციის პირობებში. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მოქ. ბიბილეიშვილს წარსულში არავითარი ბოროტ-მოქმედება არ მიუძღვის.

აღმოსავლეთ საქართველოს ტრიბუნალის კოლეგიაში:

ამხ. ბერბერაშვილი განთავისუფლებულია ტრიბუნალის კოლეგიის წევრის თანამდებობიდან, მის ადგილზე დაინიშნა ამხ. წივწივაძე.

ქრონიკა

განათლების კომისარიატში.

— **ბრმათა სკოლა.** ბრმათა სკოლაში ირიცხება 37 ბავშვი, 20 ვაჟი და 17 ქალი. სკოლაში სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა დილის 9 საათიდა საღამოს 9 საათამდე. ასწავლიან წერა-კითხვას და სხვა ხელსაქმეს. იდგმება ხანგამოშვებით შესაფერი წარმოდგენები, იმართება საღამოები. თებერვლის განმავლობაში ხსენებულ სკოლის მიერ დამზადებული გაიყიდა სულ 26,540,000 მანეთის, როგორიც არის სკამების ქსოვილები, ჩოთქები და კალათები.

— **ახალი ჟურნალი.** განათლების კომისარიატთან არსებული სოც. აღზრდის მთავარ მართველობის სამხატვრო სექცია 1 მარტიდან გამოსცემს სომხურ ენაზე საბავშო თვიურ ჟურნალს: „წითელი საფეხურები“ („კარმირ ცილერ“).

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **ქიათურის ტყეების დაცვა.** მიწად-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილებამ ტყეთა რევიზორ-ინსტრუქტორის ნ. ბრეგვაძის მოხსენების თანახმად საჭიროდ სცნო დაარსებულ იქნას საგანგებო კომისია, რომლის მიზანი იქნება მოაწესრიგოს ქიათურის რკინის გზის ნაპირებზე მდებარე ტყეების დაცვის საქმე. როგორც მოხსენებით ირკვევა ხსენებული ტყე უყურადღებობისა და დაუცველობის გამო შესაძლებელია განადგურდეს თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები. კომისიაში შევლენ შორაპნის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის, რკინის გზის და სატყეო განყოფილების წარმომადგენლები.

— **ტელეგრაფის ბოძების დამზადება.** მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატმა დააკმაყოფილა ფოსტა-ტელეგრაფის კომისარ. მოთხოვნილება სატელეგრაფო ბოძების დამუშავების ნებართვის შესახებ და დაადგინა: ნება მიეცეს ფ—ტ. კომისარიატს აწყური სატყეო რაიონიდან გაიტანოს ხსენებულ მიზნისათვის 4,000 ძირი ხე.

სხვა და სხვა

— **საჭიროა მკაცრი ზომების მიღება.** სახელმწიფო ხაზინა ამ ჟამათ აწარმოებს ქართული ბონების გადაცვლას ამიერ-კავკასიის ახალ ნიშნებზე, რის გამო დიდ ბოროტმოქმედებებს აქვს ადგილი ზოგიერთ ვაჭრების მოხერხებით. ხსენებული პირები დაშინებულნი, რომ არ დარჩეთ გადაუცვლელი ქართული ბონები, რომელიც მილიარდობით აქვთ—ქირაობენ უსაქმო დახელოვნებულ ახალგაზრდებს და მათი საშუალებით ქართულ ბონებს სცვლიან ამიერ-კავკასიის ახალ ბონებზე. მოქალაქეებს კი ამის გამო ორი დღეობით უხდება დგომა რიგში ფულის გადასაცვლელად. ამ გარემოებას ქალაქის მილიციამ უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

— **ავადმყოფობა იანვრის განმავლობაში.** ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში 1923 წლის იანვარში სხვა და სხვა სნეულებით ავადმყოფები იყო სულ 312 ავადმყოფი—178 მამაკაცი და 134 ქალი. ამავე ხნის განმავლობაში ავათ გახდა 529 სული—258 მამაკაცი და 271 ქალი. განიკურნა 530, აქედან 278 კაცი და 252 ქალი. გარდაიცვალა 49—33 კაცი და 16 ქალი. დარჩენ საექიმოთ 262 სული 125 კაცი და 137 ქალი.

— **ბანდიტების მოკვლა.** შინაგან საქმეთა კომისარიატს, თიონეთის მაზრის მილიციის უფროსი ატყობინებს რომ იქ მოკლული იქნა მილიციის მიერ ორი ცნობილი ბანდიტი—სიმონ მეღლიშვილი და სინკა კოკოზაშვილი, მესამე ბანდიტი თედო კოკოზაშვილი შეპყრობილია. ბანდიტებს აღმოაჩნდათ მრავალი ტყვია და საუკეთესო სისტემის იარაღები.

— **ორთქლმავალი ამხ. ობოლაძის სახელობაზე.** თბილისის რკ. გზ. დეპოს მუშების დადგენილებით რემონტიდან გამოშვებულ ორთქლმავ. № 8 დაერქვა „ორთქლმავალი ამხ. ო ბოლაძის სახელობაზე“.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს.

კითხვა: რა შედეგები მოსდევს ქარხანა-ფაბრიკების და სახელმწიფო დაწესებულების მოწყობილობის, დამზადებულ საქონლის ან და მასალების გაფუჭებას, რომელიც ხდება დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა დაუდევრობის ან შინაგან მოწესრიგების წესების დარღვევისა გამო?

პასუხი: აღნიშნული გარემოება იწვევს, საკონფლიქტო სატარიფო კომისიის დადგენილების თანახმად, ზემოხსენებულ უწესოების რამდენ პირთ დაჯარიმებას გაფუჭებულ საგნის საფასურის ასანაზღაურებელად. ეს ჯამი მას უნდა გამოერიცხოს მისი თვიურ ჯამაგირიდან, მაგრამ არა უმეტეს ჯამაგირის ერთი მესამედის რაოდენობით.

კითხვა: რა გარანტია ეძლევათ მუშა-მოსამსახურეთ დამქირავებელ ადმინისტრაციისგან?

პასუხი: დაქირავებულთ უნდა მიეცეთ ადმინისტრაციისაგან სამუშაო იარაღების და მოწყობილობის უფასოდ სარგებლობის სრული უფლება და თუ კი თვით ადმინისტრაცია სარგებლობს იმ სამუშაო იარაღებით, რომელნიც ეკუთვნის დაქირავებულთ, მაშინ ეს უკანასკნელნი იღებენ ადმინისტრაციისგან კომპენსაციას (ჯილდოს) აღნიშნულ იარაღებით სარგებლობისათვის. ჯილდოს ჯამს განსაზღვრავს კოლექტიური ხელშეკრულება და თუ ასეთი სრულებით არ არსებობს, მაშინ იგი აღინუსხება თანახმად შრომის კომისარიატის დადგენილებებისა.

კითხვა: ვალდებულია თუ არა დამქირავებული თავის მუშა-მოსამსახურეთ მიაწოდონ ფეხსაცმელები და ტანსაცმელი?

პასუხი: ვალდებული არიან მიაწოდონ ფეხსაცმელები და ტანსაცმელი თავის მუშა-მოსამსახურეთ, მხოლოდ ის დამქირავებლები, რომელთა წარმოებაში არსებულ შრომის პირობები ამას აუცილებლად მოითხოვენ (მაგ.—ზეთის სახდელ და საპნის ქარხნებში და სხვ., სადაც მუშებს ტანისამოსი ადრე ეცვითებათ და უფუქდებათ.)... ამ უკანასკნელ შემთხვევებში მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ „სპეც-ფეხ და ტანსაცმელები“—შრომის კომისარიატის მიერ დაწესებულ პროფესიულ სიით და ნორმით.

კითხვა: ვალდებულია თუ არა დამქირავებელი, როდესაც აღნიშნულ „სპეც-ტანისამოსების“ მუშებისათვის მიწოდება სხვა და სხვა მიზეზებისა გამო შეუძლებელი ხდება, დაურიგოს მათ ტანსაცმელების საფასური ფულის სახით?

პასუხი: დამქირავებელი აუცილებლად ვალდებულია დაურიგოს მუშა-მოსამსახურეთ კომპენსაციის სახით გაუცემელ „სპეც-ტანისამოსის“ ფაქტიური (ნამდვილი) საფასური—მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივი შრომის განყოფილებების მიერ იქნება დადასტურებული აღნიშნულ ტან და ფეხსაცმელების მუშებისათვის მიწოდების შეუძლებლობა.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

ზეთი-საპნის საფეიქრო „ტრესტი“

ვორონცოვის ქუჩა № 119.

შტატის შემცირების შემდეგ ამ ქარხნაში მუშაობს 125 მუშა-მოსამსახურე; მათ შორის მოსამსახურენი არიან 18 კ. დანარჩენები (107 კაცი) მუშებია. ჯამაგირს ღებულობენ საშუალოდ, 15 მილიონამდე თვეში და თავის დროზე. აგრეთვე ეძლევათ ამხ. მუშებს სამ-სამი გირვანქა საპონი, ხუთ-ხუთი გირვანქა ზეთი თვეში. ეძლევათ მათ გაზეთები რამოდენიმე ცალად. ქართულ და რუსულ ენებზე. გაზეთი „მუშა“-ს, თითქმის ყველა ღებულობს. შრომის პირობები იქ მტკიცედ დაცულია. მუშებს აწუხებთ მხოლოდ ათი ყოფილ ამხანაგების მდგომარეობა, რომელიც დათხოვნილ იქნენ შტატის შემცირებისა გამო და იმყოფებიან უმუშევრათ. ეს მოვლენა ძლიერ ცუდად მოქმედობს თვითეულ მუშაზე ვინაიდან ყველა მათგანს ახლო მომავალში შეუძლია მოხდეს ასეთივე მდგომარეობაში. ამიტომ საჭიროა შტატის შემცირება მოხდეს მხოლოდ მარტო განსაკუთრებულ შემთხვევაში.

ინფ. კორ. ხ. შ.

უნდა აილაგმოს

ბაკურიანის შტოზე მომუშავე რკინისგზელები გაბმული არიან იმ ქსელში, რომელიც სოფ. ცემის ვაჭარ მიხეილ ტაბატაძეს აქვს გაბმული. თვითეულ მუშა-მოსამსახურეს ყოველ ფეხის გადადგმაზე ეს თავხედი ვაჭარი თავაზობს სხვა და სხვა უვარგის საქონელს, განსაკუთრებით კი, მის მიერ დამზადებულ მყრალ არაყს და წყალნარევ ღვინოს. ვისაც ფული ხელზე არ აღმოაჩნდება, მას საქონელს ნისიად აძლევს, მხოლოდ გაორკეცებული ფასები თავის დავთრებში შეაქვს.

მოსამსახურეთათვის ჯამაგირების დარიგების დროს მიხეილ ტაბატაძე თავის დავთრებით „არტელშჩიკის“ ვაგონის კარებთან გამოჩნდება და სხვისი ნაოფლარით ზეიმობს, რადგანაც მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირის მეტი ნაწილი მის ჯიბეში მიდის. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ ვაჟბატონის წყალობით რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები ულუკმა-პუროდ რჩებიან.

ბოლოს და ბოლოს მიუცილებელია მუშებისათვის მსგავს „მზრუნველის“ ალაგმა, მხოლოდ ამხანაგ მუშებს კი ურჩევ „მიხასებურ“-ტიპის ანკესებს ნუ წამოეგებიან, თუ სურთ მათ თავის თავისუფალ შრომის ნაყოფით რიგიანად და მიზან-შეწონილად სარგებლობა.

კორესპონდენტი კანი.

პროფკავშირებში.

1. სატარიფო-ეკონომ. განყოფილების წინადადება სახ. განათკომისადმი.

ს. პ. კ. ს. სატარ.-ეკონომ. განყოფილებამ მისცა კატეგორიული წინადადება სახალხო განათკომის საწარმოვო განყოფილებას, რათა ის, დაუყონებლივ, პირველ მიღებულ თანხებიდან გაუსწორდეს თავის მუშა-მოსამსახურეთ, ვინაიდან მას ედება აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეთა დიდი ხნით გაუსტუმრებელი ვალი.

ამგვარივე წინადადება მიეცა თვით სახალხო განათლების კომისარიატს, რომელსაც ევალება საწარმოვო განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირით დაკმაყოფილება პირველ რიგში და აუცილებლივ დანიშნულ დროზე.

2. კულტგანყოფილებაში.

მიმდინარე წლის 10 თებერვალს შესდგა ს. პ კ. ს. კულტ-განყოფილების კოლეგიის სხდომა, რომელზედაც გაირჩა ავლაბარში მუშათა კლუბის დაარსების საკითხი. აღნიშნულ კლუბის გახსნას დიდი ხნის განმავლობაში აბრკოლებდა ამისათვის საჭირო სახსრის უქონლობა. მაგრამ ამ ჟამად ძლეულ იქნა ეს უკანასკნელი გარემოება. ყველა წინასწარი მუშაობა, კლუბის გახსნის მიმართულებით სრულებით დამთავრებულია და ამიტომ კოლეგიამ დაადგინა, რათა ახლომომავალში გახსნილ იქნას ავლაბარში მუშათა კლუბი.

3. სუბსიდია უმაღ. სამეურ. საბჭოს ხატყავო განყოფილებას.

მეტყავეთა კავშირმა ს. პ. კ. ს. წინაშე აღძრა შუამდგომლობა სატყავო წარმოებათა მუშებისთვის განაკვეთის (სტავკების) დაწესების შესახებ. მაგრამ აღნიშნულ განყოფილების უკიდურესი მატერიალური მდგომარეობისა გამო ს. პ. კ. ს. სატარ.-ეკონომ. განყოფილებამ ვერ შესძლო ამ საკითხის საბოლოოდ მოგვარება მან ჯერ-ჯერობით საჭიროდ სცნო, რათა სატყავო განყოფილებას აუცილებლად მიეცეს სუბსიდია ს. მ. უ. საბჭოს დანარჩენ შემოსავლიან წარმოებათა ერთგვარ დაბეგვრით შემოსულ თანხებიდან, რაც კავშირს მისცემს საშუალებას დააწესოს მეტყავე მუშებისათვის სათანადო განაკვეთი.

ამხ. ჯუღელს დაევალა ახლო-მომავალში დასვას ეს საკითხი უმაღ. სამეურ.-საბჭ. პრეზიდიუმში.

ინფ.-ს. პ. კ. ს.—**გრი.**

ხელოვნება

— **„სურამის ციხე“.** როგორც მოსკოვის გაზეთები გადმოგვცემენ, მოსკოვში დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დანიელ ჭონქაძის ეკრანზე გადაღებულ „სურამის ციხეს“. აღნიშნული სურათი განსაკუთრებით მუშათა წრეებში იწვევს დიდ აღტაცებას.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი საღამო მედიკო-სანიტარულ კავშირის უმუშევარ წევრთა სასარგებლოდ. 1) წარმოდგენა. 2) კონცერტი სახელმწიფო ოპერის მსახიობების ბორონკინას, პოპოვას, კრიჟანოვსკის, ინაშვილის და სარაჯიშვილის მონაწილეობით. დეკლამაცია, კაბარე, ცეკვა და სხ. აღნიშნული მიზნით 3 მარტს კონსერვატორიაში გაიმართება დიდი კონცერტი.

— **„მშვენიერი ელენე“.** ახლო ხანში სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ოფფენბახის კლასიკური ოპერა „მშვენიერი ელენე“, რომელსაც ამზადებს რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

დღეს თეატრებში

— სახელმწიფო ოპერა—წარმოდგენა პროფკავშირის წევრებისა და წითელარმიელებისათვის, წარმოდგენილი იქნება „კარმენ“, რუსთველის თეატრი—მედიკ-სანიტარულ კავშირის საღამო, პატარა თეატრი—ძმ. ადელ ჰეიმების გასტროლი—„ყაჩაღები“, სახალხო სახლი—რუსული წარმოდგენა გლაგოლინ ს და ვალერსკის მონაწილეობით, წითელარმიელთა ცენტრალური კლუბი—აღმოსავლეთის საღამო, 1-ლ სახ. კონსერვატორია—კონსერვატორიის მოწაფეების მეექვსე საღამო, პროფკავშირთა კლუბი—კონცერტი, კინო-მინიონ—„ბოშა ქალის სიყვარული არ ჩაქრება სანამ ის ცოცხალია“, არფასტო—„ათას ერთი ღამე“, კინო-პალას—„კბილი კბილის წინ“, კინო-სოლეილ—„მოლჩი გრუსტ, მოლჩი“, სარკის კინო—სიკვდილის ბრჭყალებში.

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის კავშირში

— **ფოთის კომუნ-მეურნ. განყოფილება.** ფოთის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების წევრთა რიცხვი დღეს უკვე უდრის 111 კაცს. განყოფილებამ სულ მცირე ხანში შესძლო საორგანიზაციო საქმის წესიერ ნიადაგზე დაყენება. განყოფილებას აქვს კარგი ფონდი რომლის საშუალებით აშენებენ ახალ კლუბს. კოლექტიურ ხელშეკრულებების დადება უკვე გატარდა ცხოვრებაში. განყოფილებას ცენტრთანაც კავშირი კარგად აქვს მოწყობილი.

— **გორის კომუნ.-მეურნ. განყოფილება.** გორის კომუნ.-მეურნეობის განყოფილებასთან შეერთებული არის ხაშურის და სურამის განყოფილებანი. განყოფილებას ჰყავს 113 წევრი. მათ შორის უმუშევარი არის მხოლოდ 22 კაცი. კოლექტიური ხელშეკრულებანი ჯერ არ გატარებულა. სამეურნეო ორგანიზაციები განიცდიან ნივთიერ ხელმოკლეობას. არ არსებობს არავითარი ფონდი.

— **სიღნაღის სამაზრო ადგილკომი.** სიღნაღის სამაზრო ადგილკომს ჰყავს 52 წევრი. წევრთა გაწმენდა დასრულდა. კულტურულ განმანათლებელი მუშაობა არ სწარმოებს.

— **ახალციხის სამაზრო ადგილკომში.** ახალციხის სამაზრო ადგილკომში ირიცხება 53 წევრი. ადგილკომის საქმეებს აწარმოებს 3 კაცი. 1—პასუხისმგებელია, 2—ტეხნიკ. მომუშავენი, კულტურულ განმანათლებელი მუშაობა სწარმოებს, მაგრამ ძალიან სუსტად. ამის მიზეზი უფრო ნივთიერი ხელმოკლეობაა. ცენტრიდან დროზე ვერ ღებულობენ საჭირო ცირკულიარებს და დადგენილებებს.

— **დუშეთის სამაზრო ადგილკომში.** დუშეთის სამაზრო ადგილკომს შედარებით სხვებთან წევრები ცოტა ჰყავს. წევრთა რიცხვი სულ გამოიხატება 23 კაცის სახით. დაიდო კოლექტიური ხელშეკრულებანი. ადგილკომთან არსებობს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, უმუშევარი წევრი არის—3.

— **შორაპნის სამაზრო ადგილკომში.** შორაპნის სამაზრო ადგილკომში ირიცხება 30 წევრი. დაიდო კოლექტიური ხელშეკრულებანი. ადგილკომს აქვს ურთიერთ დამხმარე კასა. კასის ფონდის გასაძლიერებლად ეწყობა წარმოდგენა - საღამოები, რომლის წმინდა შემოსავალი იდება ფონდის სასარგებლოდ.

— **კომუნალურ მეურნეობის კავშირის ჟურნალი.** კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრალურ გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: მიენდოს სამდივნოს გამოიმუშაოს ხარჯთ აღრიცხვა კომუნალურ მეურნეობის განზრახულ ჟურნალისთვის. ჟურნალი იქნება ყოველთვიური და შიგ მოთავსდება კომუნალურ მეურნეობის დარგიდან საყურადღებო მასალა და აგრეთვე დაიბეჭდება კავშირის ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი.

— **ფეიქართა კავშირში.** 26 თებერვალს შესდგა ფეიქართა კავშირის გამგეობის და ყველა ქარკომების წარმომადგენელთა გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება ამხ. ალექსანდროვასი ფეიქართა კავშირის მოქმედების შესახებ წარსულ თვეების იანვრის და თებერვლის ანგარიშები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავშირის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო ფეიქართა კავშირის სამრეწველოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გასულ ორი თვის განმავლობაში კავშირმა მოაწესრიგა სატარიფო-ეკონომიური, საფინანსო, საკონფლიქტო, უმუშევართა და ბინის საკითხები. ამას გარდა უყურადღებოდ არ იყო დატოვებული პროვინცია, სადაც მუდმივ იგზავნებოდა საჭირო განკარგულებანი და დადგენილებანი. კავშირს დიდი ენერგია დაეხარჯა და ეხარჯება—საწარმოო საქმის ღირსეულ სიმაღლეზე დასაყენებლად. ამავე საანგარიშო თვეში კავშირმა მოახდინა სრული გადახალისება ზეთის და საპნის სამრეწველოების ტრესტისა.

პროვინციაში

გორის მაზრა

უპარტიო გლეხთა კონფერენცია. ჩატარებულია უპარტიო გლეხთა კონფერენციები 16 თებერვალს შინდისის თემში 17-ს, ტყვიავის თემში 19-ს, ახალქალაქის თემში და 20-ს კავთისხევის თემში. კონფერენციებმა ყველგან სასურველად ჩაიარა და მასზე დაესწრო მრავალი გლეხობა. ყოველგან გამოტანილია რეზოლიუციები მისასალმებელნი საბჭოთა მთავრობისადმი.

რევიზია. მთელს მაზრაში დამთავრებულია რევიზია თემის ალმასკომების და კომუნალურ განყოფილებებისა, რომელსაც აწარმოებდა სპეციალური კომისია დანიშნული სამაზრო ალმასკომის მიერ. კომისიამ შეკრიბ მრავალი მასალა, რომელიც ასურათებს ჩვენს ორგანოების მუშაობას.

კომკავშირის კონფერენცია. 1 და 16 თებერვალს ქ. გორში შესდგა კომ. ახ. კავშირის სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც დაესწრო 3 დელეგატი. სამაზკომის მოხსენებაზე იქმნა გამოტანილი რეზოლიუცია რომლითაც მუშაობა სამაზკომისა ჩაითვალა ფრიად დამაკმაყოფილებლად. სამაზკომში იქმნა არჩეული 9 ამხანაგი.

ს. ხეთა (ზუგდიდის მაზრა)

ხეთა მდებარეობს სენაკ-ზუგდიდის გზატკეცილის გასწვრივ და შეიცავს დაახლოვებით 100 ოთხუთხ. ვერსტს, რომელ სივრცის 70 პროც. დაკავებული აქვს 1500 კომლ მოსახლეობას.

აქ არსებობს თემის კვალობაზე მრავალი დაწესებულებანი, როგორიც არის ტეხნიკუმი, 2 მთლიანი შრომის და 4 შრომის სკოლები, რკინის გზის სადგური, ფ.-ტ. დაწესებულება, აფთიაქი, საექიმო და საფერშლო პუნქტი, სამხედრო უწყების კანტორა „ვიუ“, სატყეო კომის. განყოფილება, 4 კოოპერატივი, კულტურული წრე თავისი სექციებით და სხვა. საზოგადოებ პირნათლად იხდის ყოველგვარ მათზ გაწერილ გადასახადებს. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელოვანია თემისათვის ტეხნიკუმის არსებობა და კიდევაც მისი არსებობის შესანარჩუნებლად არავითარ გადასახადებს არ იშურებენ. მთავრობის მოთხოვნილებისამებრ მოიწვიეს სრულუფლებიანი მასწავლებლები, რომლებსაც თემ აძლევს, გარდა მთავრობის მიერ დანიშნულ გასამრჯელოსა, რამოდენიმ ას ფუთ სიმინდს წლიურად, რადგა მცხოვრებნი აფასებენ ტეხნიკუმს.

მერეხი.

წერილები რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ განცხადებას:

ვსწყვეტ ყოველგვარ კავშირს, როგორც კერძოთ მენშევიკურ პარტიასთან, რომლის წევრი მე ვიყავი, ისე საერთოდ ანტი-საბჭოთა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. ამასთან ერთად მოვალეთ ვთვლი თავს აღმოუჩინო საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარი დახმარება აღმშენებლობით მუშაობაში.

ბორის პორფირეს ძე ჭკუასელი.
საჭამიასერი, ოზურგეთის მაზრა.

—

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ გაზეთში მომითავსოთ შემდეგი:

1905 წლიდან 1919 წლამდი ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიის პასიურ წევრათ, მას შემდეგ კი 1919 წლიდან მე არ მიმუშავნია მათ ორგანიზაციაში. მაგრამ ეს არ აღმინიშნავს პრესის საშუალებით. ეხლა კი ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ გამოსული ვარ მენშევიკურ პარტიის წევრობიდან და ვდგევარ ყველა პარტიის გარეშე, არა მაქვს არავითარი საწინააღმდეგო საბჭოთა ხელისუფლებისა და ვალდებულათ ვრაცხ ჩემს თავს მის წინააღმდეგ არ ვიმოქმედო და შეძლებისა დაგვარათ გაუწიო დახმარება სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

ალისტო გიტოს ძე ბერძენიშვილი.
22 თებერვალი 1923 წელი
დაბა ჩოხატაური.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 4 რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში და წარადგინონ განმარტება, თუ რატომ არ ესწრებიან მუშათა ფაკულტეტის და პოლიტეხნიკუმის იაჩეიკების სხდომებს.

1) ატარბეგოვი ონიკ, 2) ბურთანოვი დავით, 3) ბელატოვა ევდოკია, 4) ჯოჟევი ხარიტონი. 5) კოსტინ პრაკოფი, 6) ეგოროვი ვასილი, 7) მაკეევი პეტრე, 8) მანავე იან სტეფანე. 9) მეერსონ დანიელ, 10) მინასოვი შაქრო, 11) სადიხოვი ალი-კული-ოღლი, 12) ფრანცკევიჩი ვიტალი, 13) ფილიმონოვი ლავრენტი, 14) ჩუკულაევი კონსტანტინე, 15) შიჩნინ კონსტანტინე, 16) სვერდლოვი ევდოკიმი.

4 რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე—ხაცკევიჩი.

— 4 რაიკომი წინადადებას აძლევს იაჩეიკების მიერ პარტიულ სკოლაში მობილიზაციით გაწვეულ ყველა ამხანაგებს გამოცხადდნენ 6 მარტამდე რაიკომში სათანადო მოწმობების მისაღებად.

4 რაიკომის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილების გამგე—არუსტანოვი.

პროფესიონალური

— კვირას, ა. წ. 4 მარტს დილის 11 საათზე, „განათლების მუშაკთა სახლში“ (კოლუბანის ქ. № 3) დანიშნულია ქ. თბილისის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. მე-4-ე სრულიად რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობის დელეგატების გურსკის და გინდინის მოხსენება.
2. სატარიფო შეთანხმების გატარება.
3. მიმდინარე საქმეები.

კრებაზე მოწვეულია ყველა ადგილობრივი გაზეთების მუშა-კორესპონდენტები.

განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე შავერდოვი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის პასუხისმგებელი მდივანი გიულუმიანი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ელენე გიორგის ასული მაჭავარიანი, დები სოფიო და მარო დავითის ასულები, სიძეები ლუკა იაკობის-ძე ბრეგვაძე და შოთა პლატონის-ძე დადიანი აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ საყვარელ და დაუვიწყარ

ვალოდია მაჭავარიანის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 4 მარტს, დღის 1 საათზე, გარდაცვალებულის საფლავზე. (ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე).
236—1—1

სახელმწიფო
ოპერა
დღეს, 3 მარტს,
წარმოდგენა პროფკავშირთა წევრებისათვის
კარმენ
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
კრ. 224—1—1

ჩქარი მატარებლების
№ 1 და 2 მოხსნა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო ამით აცხადებს, რომ 4 მარტიდან ჩქარი მატარებლები №№ 1 და 2 იხსნება, ამასთან მატარებელი № 2, რომელიც გამოვა ბაქოდან 3 მარტს და მატარებელი № 1, რომელიც გამოვა ბათომიდან 4 მარტს მიდის მხოლოდ თბილისამდე.
კრ. 226—2—1

საჭიროა ბინა
ექიმისათვის

2 ან 3 ოთახი სამზარეულოთი, რაიონში: რუსთველის პროსპ., ვერა და ერევნის მოედანი. მისასართი—საგაზეთო ტრესტში განცხადებათა გამგესთან.
(233—3—1)

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგიასი
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკის ქ № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—20)

ქ. ტფილისის მე 9 რაიონის სახ. მოსამართლე

იწვევს გარდაცვალებულის მარიამ ასლანის ასული მჭედლიშვილის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნების დღიდან ორი თვის ვადაზე თავიანთი უფლებანი გარდაცვალებულის დარჩენილ ქონებაზე
(231—1—1) სახალხო მოსამართლე.

დაკარგე მოწმობა № 186 მუშათა ფაკულტეტიდან მოცემული ნოე ტარასის ძე მანჯგალაძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (235—1—1)

დაკარგე საექიმო-სანიტარული შრომის მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1855, ლევინ ივანეს ძე კამოევის ახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (238—1—1)

დაკარგე უმუშევრობის წიგნაკი № 368 ლევინ ივანეს ძე კამოევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (239—1—1)

დაკარგე პასპორტი მოცემული მოსკოვის ყოფ. პოლიცმეისტერის მიერ ლევინ ივანეს ძე კამოევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (240—1—1)

დაკარგე მე-9 კომისარიატის მიერ ეკატერინე პეტრეს ასულის დომონტოვიჩის სახელზე გაცემული პასპორტი № 8850, ჩაითვალოს გაუქმებულად. (237—2—1)

დაკარგე გიორგი კოშკაძის სახლის წიგნი რუსთაველის ქუჩა (ნახალოვკა), ჩაითვალოს გაუქმებულად. (230—1—1)

დაკარგე არმინაკ აგაბაბის ძე სანოსიანცის სახელზე გაცემული მეტრიკული ამოწერილობა № 1456 და პასპორტი № 917, ჩაითვალოს გაუქმებულად. (232—1—1)

დაკარგე გიორგი კალაგოვის სახელზე გაცემული საპირადო ბარათი და მოწმობები, ჩაითვალოს გაუქმებულად. 227—1—1

დაკარგე ანტონინა ლავრიკოვას სახელზე არმავირში გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად. 229—2—1

დაკარგე შრომის ბირჟის მიერ სიმონ ეგიზარიანის სახელზე გაცემული წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულად. № 6.—1—1

დაკარგე კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის მიერ მისაკ კაზარიანცის სახელზე გაცემული საწევრო წიგნაკი, ჩაითვალოს გაუქმებულად. 215—1—1

იყიდება კარგათ მორთული
სახლი
თავისუფალი ბინებით, ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2, 11—2 და 5—7 საათამდე.
(190—10—6)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის
სასურსათო სახალხო კომისარიატის
საქართველოს
რწმუნებულის სამმართველო
აცნობებს სახელმწიფო მომარაგება-
ზე მყოფ დაწესებულებებს,
რომ ა. წ. 5 მარტ. მათ აღარ მიეცემა
გამომცხვარი პური

პურის ნაცვლად მიიღებენ ფქვილს, ერთი გირვანქა პურის მაგივ ერთ გირვანქა ფქვილის ანგარიშით. ფქვილის გაცემა დაიწყება მარტს სასურსათო საწყობიდან (პეტრე-პავლეს ქუჩ. № 18) და თაჭალის წისქვილიდან.

ჯგუფების წარმომადგენლებმა უნდა წარმოადგინონ მომარაგების ყოფილებაში სათანადო მოთხოვნილებანი ფქვილზე და დაწესებუ ბების მანდატები. ფქვილის მისაღებად უნდა წარმოადგინონ ს თარი ტომრები.

შენიშვნა: პურით კმაყოფას დროებით მიიღებენ: სამხედრო წილები, საავადმყოფოები და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატ ინვალიდების სახლები, იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამსწ რებელი სახლები, განათლების სახალხო კომისარიატის და სახალ განათლების განყოფილების საბავშვო დაწესებულებები, მუშათა ფ კულტეტის და პედაგოგიური ინსტიტუტის კურსანტები, ცენტრალუ რი პარტიული სკოლები და ფაბრიკა-ქარხნების სასწავლებლები.
№ 226 2—2

ტფილისის საფონდო
და
საქონლის ბირჟა
სოლოლაკის ქ. № 7.

საფონდო განყოფილებაში
მოქმედება სწარმოებს
12-დან 1 საათამდე.

საქონლის განყოფილებაში
მოქმედება სწარმოებს
11-დან 1 საათამდე.

შესვლა თავისუფალია
მორიგი კომიტეტის წევრის
ნებართვით.

განსაკუთრებული შემთხვევისათვის ბირჟას აქვს საქონლის საწყობები და ფოლადის სალარო.

ტელეფონი საერთო ხმარებისათვის №№ 4—60 და 9—33.
(კრ. 225—2—2)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ
ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელ
ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—

რ. ს. ფ. ს. რ. ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს ჯანმრთელობის განყოფილებისაგან.

ა. წ. 6 მარტს, დღის 12 საათზე, ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს შენობაში (ანდრეევის ქ. № 101) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 1923 წლის 1 სექტემბრამდე ტფილისის საავადმყოფოსათვის და ტფილისის სადგურის სურსათის დამზადებელი პუნქტისათვის შემდეგი საგნების მოწოდებაზე: ა) ქათმების და კვერცხების, ბ) კომბოსტოს, კართოფილის, ჭარხალის, ხახვის, პამიდორის, მანნის კრუპის, კარტოფილის ფქვილის, ვერმიშელის, ერბოს, ბადრიჟანის, მწვანილის და სხვ.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ფასების დახურულ კონვერტებში გამოცხადების და მსურველების ზეპირ-ვაჭრობაზე დაშვების გზით. ამავე დროს ის პირები, რომლებიც განცხადებებს აძლევენ დახურულ კონვერტებში, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან დაშვებული ზეპირ ვაჭრობაზე. ვისაც სურვილი აქვს მიიღოს მონაწილეობა ზეპირ ვაჭრობაში, მან ვაჭრობის დაწყებამდე უნდა შეიტანოს განცხადება ზეპირ ვაჭრობაზე დაშვებისათვის გირაოთი და დოკუმენტით, რაც მოწმობს მის მიერ დაწესებულ გირაოს შეტანას. გირაო უნდა წარდგენილი იქნეს ვაჭრობის დაწყებამდე მიწოდების ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით—ოქროთი მომავალი საჯარო ვაჭრობის დღის კურსით. მიწოდების აღება შეიძლება განუყოფლად ორთავე უბანზე, ან ცალკე თვითეულ უბანზე, როგორც ეს აღნიშნულია განცხადებაში. განცხადებებში ფასები უნდა აღინიშნოს ოქროთი. კონდიციების და დაწვრილებითი პირობების გაცნობა შეიძლება ყოველ დღე ჯანმრთელობის განყოფილების სამეურნეო ქვე-განყოფილებაში, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. 12-დან 2 საათამდე დღის.

განცხადების მიცემის უკანასკნელი ვადა თავდება ა. წ. 6 მარტის 12 საათზე.

კრ. 214 2—2

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.